გიორგი ჯიაძე

მოწმის დაკითხვის ტაქტიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი, 0165 საქართველო

2019/ 2020 სასწავლო წელი

საავტორო უფლება © 2020 წელი, (გიორგი ჯიაძე)

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

,,ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **გიორგი ჯიაძის** მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: „**მოწმის დაკითხვის ტაქტიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის საგამოცდო კომისიაში მისი განხილვის თაობაზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად''

თარიღი _____

ხელმძღვანელი : კობა ბუაძე, ასოცირებული პროფესორი

_____

რეცენზენტი:

_____

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

_____

ავტორი: **გიორგი ჯიაძე**

ნაშრომი: **„მოწმის დაკითხვის ტაქტიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი“.**

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: სისხლის სამართალი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

სარჩევი

შესავალი 6

თავი 1. მოწმის დაკითხვის პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებანი 10

1.1. მოწმე, როგორც დაკითხვის სუბიექტი 10

1.2. მოწმეთა პირობითი კატეგორიები 11

თავი 2. დაკითხვის პროცესუალური თანმიმდევრობანი 13

2.1. დაკითხვის სპეციფიკა 13

2.2. ობიექტურობა და ყოველმხრივობა 14

2.3. დაკითხვის ადგილი და ობიექტური პირობები 16

2.4. ფსიქოლოგიური კონტაქტის მიღწევა 17

2.5. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობანი 20

თავი 3. მოწმის ფსიქოლოგიის შეცნობის თავისებურებანი 22

თავი 4. დაკითხვის ზოგიერთი თავისებურება სისხლის სამართლის პროცესში 28

4.1. მტკიცების პროცესის სტრუქტურა და დინამიკა 28

4.2. დაკითხვის ფსიქოლოგიური წყობა და სტილი 30

თავი 5. დაკითხვის ტაქტიკური საკითხები ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეზე (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა) 33

5.1. კონფლიქტური სიტუაციის პირობებში დაკითხვის თავისებურება და ტაქტიკა 36

5.2. მტკიცებულებათა გამოყენება დაკითხვის დროს 37

5.3. დაკითხვის ტაქტიკური ხერხი, როდესაც გამომძიებელს გააჩნია მხოლოდ ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისი არ არის დანაშაულის ჩადენის გამოსააშკარავებლად 42

5.4. ემოციური დაძაბულობის მდგომარეობის გამოყენებას დაკითხვის პროცესში აქვს დადებითი მნიშვნელობა.....46
5.5. ჩვენების მიცემაზე უარის სურვილის დასაძლევად გამოყენებული დაკითხვის ტაქტიკური ხერხების გამოყენება.....49
დასკვნა 52
გამოყენებული ლიტერატურა.....57

რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია მოწმის დაკითხვის ტაქტიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი, ხაზი გაუსვით საგამოძიებო და სასამართლო ხარვეზებს, შევეცადეთ უკეთ წარმოგვეჩინა მისი ნაკლოვანი მხარეები ამიტომ ქართულ სინამდვილეში შევეცადეთ დაგვერეგულირებინა დაკითხვის ფსიქოლოგიური და ტაქტიკური მხარეები, რაც ფსიქოლოგიის მეცნიერებაში სხვადასხვაგვარად იყო განხილული ისე, როგორც კრიმინალისტიკაში. შევეცადეთ, აგრეთვე დაგველაგებინა მისი პრაქტიკული მხარეები, რაც აუცილებელია სადღეისოდ სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებათა ფუნქციონაური გაუმჯობესებისათვის, რამეთუ სწორი ინფორმაციის მიღება მოწმიდან და აღიარებითი ჩვენების მიცემა უპირატესად დამოკიდებულია გამოძიების ორგანიზებულად ჩატარებაზე. დაკითხვის პროცესის უსწოროდ განხორციელებამ შეიძლება ნეგატიური შედეგი გამოიწვიოს ნებისმიერი მხარისათვის. მხარის სახით კი წარმოდგენილები არიან მოწმე, დაზარალებული, გამომძიებელი და სხვა, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციით არიან აღჭურვილნი.

ამიტომ ზემოთ თქმულიდან მომდინარე შევეცადეთ დაგვემუშავებინა გარკვეული მეთოდიკა დაკითხვისა, რომელიც ეყრდნობა გამოძიების თანამედროვე მოთხოვნებს. გამომდინარე აქედან ნაშრომი გვინდოდა გამოგვერჩია სწორედ მისი აქტუალურობით. სისხლის სამართალწარმოებასა და კრიმინალისტიკაში, დაკითხვის თანამედროვე პრობლემის შესწავლისა და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისათვის.

ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვისას ჩვენების ფორმირების პროცესი, რომელიც ცალ-ცალკე განხილულია ფსიქოლოგების და კრიმინალისტების მიერ. დღევანდელი მოთხოვნილებების საფუძველზე, ასევე პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობთი, ჩვენ შევისწავლეთ ჩვენების ფორმირების საფეხურები - აღქმა, ფაქტებისა და გარემოებების დამახსოვრება და გადაცემა, რამაც მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ დასაკითხი პირებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი უნდა გავაკეთოთ არა დაკითხვის ბოლო სტადიაზე, არამედ მისი წარმოების პერიოდში.

Abstract

The thesis deals with the tactical and psychological features of interrogating witnesses, highlights drawbacks of investigation and the court, tries to present its weak sides more clearly. Thus, for the first time in Georgia, we have carried out tactical and psychological means of interrogating witnesses, which were previously considered separately by psychologists and criminologists, we have worked out practical advice to increase the effectiveness of the investigative activity. Obtaining information from witnesses or confession from offenders greatly depends on organizing and conducting the interrogation process correctly. If interrogation goes wrong, it may have negative results for all sides of the interrogation. These sides are witnesses, victims, investigators, the police and other forces who have the right to participate in the interrogation process.

According to the above, we have worked out the differentiated methodology of interrogation, which is based on the achievements of modern psychology and criminology, as well as an existing positive experience.

Therefore, the present paper is distinguished with its actuality and is the first attempt to study the problem of interrogation and to establish a modern interrogation system in Georgian criminal law and criminology.

One of the problematic issues is the process of formulating the evidence obtained during interrogating witnesses and victims, which is separately discussed by psychologists and criminologists. Based on modern requirements, as well as practical experience, we have studied the basics of forming evidence – perception, remembering and sharing facts and circumstances, which led us to the conclusion that the information and facts obtained during interrogation must be analyzed not only at the end of the interrogation but also during the interrogation itself.

შესავალი

მოწმის ჩვენება მტკიცებულების ერთ–ერთი რთული სახეა, რომელიც ზოგჯერ ფორმირდება ისეთი ადამიანის განგებაში, რომლებიც ვერ ათვითცნობიერებენ მომხდარს, მაგრამ, ამავე დროს, განსაკუთრებით საჭიროა ობიექტური რეალობის დადგენისათვის. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სისხლის სამართის საქმეთა არსი დამოკიდებულია სწორ და გამართულ ჩვენებაზე, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ მტკიცების გარკვეულ სახეს. ამდენად მოწმეთა ჩვენების სისწორის დადგენა წარმოადგენს გამოძიების ერთ ერთ ინტერესს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად ჩვენების სისწორის დადგენაში იგულისხმება თითეული მტკიცებულების ცალცალკე შეფასება სხვა მტკიცებულებებთან გადამოწმების პარალელურად, ანუ იგი წარმოადგენს გარკვეულ ფსიქოლოგიურ და პროცესუალურ საშუალებათა ერთობლიობით შემოწმებას, რის მიხედვით გამომძიებელს გამოაქვს გარკვეული დასკვნა ამა თუ იმ მოვლენების შესახებ. ყურადსაღებია ისიც, რომ მოწმის ჩვენება უნდა იქნეს გაანალიზებული მისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობის ერთობლივი კვლევით. ხშირია შემთხვევები, როცა გამომძიებლები გვერდს უვლიან ამგვარ საკითხს, ვინაიდან არ იციან როგორ შეაფასონ ესა თუ ის მოვლენა.

სირთულეს ამა თუ იმ ჩვენებისადმი დიაგნოზის გაკეთებაში წარმოადგენს ფსიქოლოგიური შეცნობის არსი. ჩვენების შეფასება ემყარება ამა თუ იმ ინდივიდის ფუნციონალურ შემეცნებით განწყობას, მიზან მიმართულობას, ტემპერამენტს და რასაკვირველია ეროვნულ, კუთხურ თავისებურებებს. ბუნებრივია დაკითხვის ტაქტიკა, რომელიც ჯერ კიდევ 70იან წლებში იქნა შემოშავებული, თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროებდა გარკვეულ ახალ მიდგომებს და ტრანსფორმაციას. ეს კი გამოიწვია ეკონომიკურმა, სოციალურმა ცვლილებებმა და მეცნიერებაში დანერგილმა ახალმა მიღწევებმა.

თემის აქტუალობა. ტაქტიკური მეთოდების გაუმჯობესებაში იგულისხმება გამომძიებლის ღრმა წვდომა, ინდივიდის ცნობიერსა თუ ქვეცნობიერში, რომელიც ეყრდნობა მის ხედვას ემოციური ქცევის პარამეტრში. იგი რასაკვირველია გამომძიებლის პროფესიული პოტენციალის ამაღლებას ითხოვს, მაგალითად

როგორიცაა: რეაქციების შესწავლა, დაკვირვების მეთოდები, კომუნიკაცია და მრავალი სხვა.

კვლევის ობიექტია მტკიცებულების კატეგორიების შემადგენლობიდან – დაკითხვის შედეგად მიღებული ჩვენება; ჩვენების მიღების, შემოწმების და შეფასების ფსიქო–კრიმინალისტიკური კომპლექსი.

კვლევის მიზანია სრული და ობიექტური ჩვენების მიღებისათვის, ტაქტიკური ხერხების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს საკითხთან საერთო მეცნიერული, სისტემური, ასევე ლოგიკური, სტატისტიკური, საერთო და ინდივიდუალურ–ფსიქოლოგიური მიდგომა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე თანამედროვე კრიმინალისტურ სწავლებებს კრიმინალისტები უკავშირებენ კრიმინალისტიკის ტაქტიკის განვითარებას, გამოძიების ფსიქოლოგიური საფუძვლების გაუმჯობესებას გარკვეული მიმართულებით, გამომძიებლის სხვადასხვა სახის ქცევების შემუშავებას და ასევე ახალი, უფრო ეფექტური ტაქტიკური ხერხების შემუშავებას. ამ მიმართულებაზე დაყრდნობით, სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკაში შემოვიტანეთ სიახლე, მოწმის დაკითხვის ტაქტიკაში ფსიქოლოგიის, ნეიროფიზიოლოგიის, მედიცინის, ნეირო–ლინგვისტური პროგრამირების მიღწევების საქართველოს სისხლის სამართალწარმოების პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით. კერძოდ:

1. შესწავლილია საპროცესო ნორმების დაცვის მექანიზმები.
2. განზოგადებულია დასაკითხი პირის დაკითხვის ფორმის მეთოდიკა
3. განზოგადებულია ე.წ კოგნიტური ინტერვიუს მექანიზმები, ობიექტური ინფორმაციის მიღებისათვის, რაც ითვალისწინებს გარკვეული მოვლენების სპეციალური გახსენებისა და აღქმის სხვადასხვა ხერხების გამოყენებას.

4. პრაქტიკულად არის შესწავლილი „ვიქტიმურობის ფენომენი“, როგორც ადამიანის გაზრდილი შესაძლებლობა, მისი სულიერი და ფიზიკური ფაქტორების, სოციალური როლის ან სტატუსის შედეგად, განსაზღვრული გარემოებების გამო აღმოჩნდნენ დანაშაულის მსხვერპლი;

5. პირველად საქართველოში შესწავლილია და პრაქტიკაშია დანერგილი ე. წ. RPM–ს (razinalizacion, prohection, minimizaction) მეთოდი, რომლის განხორციელების პროცესს „გამართლების მექანიზმი“ ვუწოდეთ, რაც წარმოადგენს დაკითხვისას

დანაშაულის რაციონალიზაციის, გადაბრალების და შემცირების საუკეთესო ტაქტიკურ ხერხს.

ყოველივე ზემოთაღნიშნული სიახლე წარმატებით იქნა გამოყენებული და დღესაც ხდება მისი გამოყენება სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პრაქტიკაში.

კვლევის სამართლებრივ ბაზად გვევლინება საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და ასევე სხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტები, რომლებიც კავშირშია სამაგისტრო თემის საკითხებთან, აგრეთვე კრიმინალისტიკური ტაქტიკის პრობლემებთან.

გამოყენებული იქნა კვლევის კერძო მეთოდები, საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი, ანკეტირება, საექსპერტო გამოკითხვა.

თეორიული ბაზას შეადგენს მეცნიერული კვლევები: კრიმინალისტიკის, კრიმინოლოგიის, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, სოციოლოგიის, ბიოლოგიის, ნევროლოგიის, ფილოსოფიის, ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგიისა და ასევე ნეირო–ლინგვისტიკის საკითხებში.

კვლევის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს მოწმიდან ჩვენების მიღების, შემოწმების და შეფასების ტაქტიკურ–ფსიქოლოგიური ხერხების მიმართ კომპლექსურ მიდგომაში, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას სამეცნიერო კრიმინალისტიკური და სასამართლო ფსიქოლოგიური კვლევებისას. მიგვაჩნია, რომ შემუშავებული ხერხები ხელს შეუწყობს კრიმინალისტიკური ტაქტიკის და ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკის გაუმჯობესებას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში, დაკითხვის პროცესში მონაწილე პირების შესწავლის ფარგლებში, მისი გამოყენების შესაძლებლობით; ნეირო–ლინგვისტიკური პროგრამირების სფეროში, კომუნიკაციის დამყარების შესწავლით. ბოლო მიღწევების გამოყენება, დაეხმარება ოპერატიულ მუშაკებს, პროკურორებს, გამომძიებლებს დასაკითხ პირებთან მიზანშეწონილი ქონტაქტის დამყარებაში, რათა დადგენ ჭეშმარიტების გზაზე.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება 60 გვერდისაგან, რაც მოიცავს შესავალს, რეზიუმეს, 5 თავის, 14 პარაგრაფს, დასკვნასა და გამოყენებულ ლიტერატურას.

თავი 1

მოწმის დაკითხვის პროცესუალური და ტაქტიკური თავისებურებანი

1.1. მოწმე, როგორც დაკითხვის სუბიექტი

მოწმეთა ჩვენებების შინაარსი არის დამოკიდებული გამოსაზიებელი მოვლენების ხასიათით, აგრეთვე დროსა და სივრცის მახასიათებელით, თავისი ინდივიდუალიზმით, მაგრამ სულ რაღაც შემთხვევით თუ, ბუნებრივი პროცესების შედეგად, ესა თუ ის მოვლენა გახდა მოწმის ცხოვრებისეული ფაქტი, სადაც გადაიკვეთა მისი პიროვნული გარემოება და ცხოვრებისეული ფაქტორები. სწორედ ამ ცხოვრებისეულ გარემოებებში იმყოფება დაკითხვაზე გამოსაკვლევი შემთხვევის ახსნისა და აღდგენის დასაყრდენი ფაქტორი, ამიტომ მოწმის სუბიექტის პირადი ცხოვრებისეული გარემოების და შემთხვევის გახსენების ერთმანეთთან შეკავშირება იძენს არსებით მნიშვნელობას საქმისათვის[1]. ამ ურთიერთ კაშირზე აკეთებს ორიენტირს მოწმე დაკითხვის დროს, ჩვენების მიცემისას. ანუ იგი გამოიყენება საყრდენ და მაკონტროლირებელ წერტილად. იმისშეფასებისას, თუ ქონდა თუ არა აზრი რაიმე ფაქტს მოწმისათვის, ამა თუ იმ ფაქტის ცხოვრებისეულ კონტექსტში განხილვისას, დამკითხველებს ანუ გამომძიებლებს შესაძლებლობა ექმნებათ გადალახონ არასწორი წარმოდგენები და გამოირიცხოს რაიმე სახის უზუსტო წარმოდგენა და უფრო ზუსტად გაერკვეს საქმის ვითარებაში.

მოწმეთა სუბიექტური პოზიციებიდან თავიანთ მოვალეობასთან დამოკიდებულებაში სგამოძიებო პრაქტიკა ერთმანეთისაგან ანსხვავებს კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მოწმეებს და მათი ჩვენება ფასდება, როგორც მართებული და მცდარი[2].

აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ის ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები, როცა საქმის შედეგებით დაინტერესებულ მოწმეს, წინასწარ თვლიან არაკეთილსინდისიერად, ან პირიქითაც ხდება, მის ჩვენებას კი სიცრუე. ცნობილია,

---

[1] რ. გოგშელიძე., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის სრულყოფის საკითხებისათვის. „მართლმსაჯულება და კანონი“, №5, 2006, გვ. 14

[2] А.Н. Володина, Психологические методы получения информации при осуществлении допроса// Актуальные проблемы юриспруденции. Тюмень, 2004, ст. 89

რომ დაზარალებულები მიეკუთვნებიან ადამიანთა იმ ჯგუფს, რომლებიც ბუნებრივად ინტერესდებიან საქმის საბოლოო შედეგით. რასაკვირველია, თუ მათ მიადგათ ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი [3]. ამავე დროს, ის ფაქტებიც არის გასახსენებელი, რომ დაზარალებულები კეთილსინდისიერების გარეშე ეკიდებიან თავიანთ უფლებამოვალეობებს და ჩვენებებში გამოხატავენ მკაცრ პოზიციებს. ისიც ხდება, რომ თითქოსდა არ არის დაინტერესებული, საქმის ირგვლივ არაწორი ჩვენების მიცებმით, რატომღაც მალავენ რეალურ ფაქტებს და ამახინჯებენ საქმის დეტალებს.[3] ამავდროულად არსებობს ისეთი მდგომარეობაც, როდესაც ესა თუ ის დაზარალებული პირები არაჯეროვნად ეკიდებიან თავიანთ საპროცესო მოვალეობებს და იძლევიან ზედმეტად მკაცრ ჩვენებებს. ისეც ხდება, რომ ისეთ მოწმეებს, რომელთა ინტერესებსაც არ ეხებიან და თითქოსდა არ არისნ დაინტერესებული ჩვენების მოცემით, რაღაც გარემოებების გამო მაინც მალავენ მომხდარზე საჭირო ფაქტებს, ამახინჯებენ საქმის რეალობას.

1.2. მოწმეთა პირობითი კატეგორიები

გამოძიების წარმოებისას, მოწმეთა კატეგორიებად დაყოფა დაინტერესებულ და დაუინტერესებელს პირებად, უნდა ატარებდეს თითქოსდა საორიენტაციო მნიშვნელობას, ვინაიდან გამოძიების დროს ასეთი წარმოდგენების შექმნა იწვევს მოწმეთა ჩვენებების მიმართ ტენდენციურ დამოკიდებულებას. ეს ბუნებრივად უარყოფითად იმოქმედებს გამოძიების შედეგებზე. ამის გამორკვევა უფრო უმეტესად ხდება, საქმეზე გამოძიების დასრულებისას, რამეთუ გამომძიებლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჭეშმარიტების დადგენა, სადაც ვლინდება მისი პროფესიონალიზმი. თუმცა მოწმეთა საორიენტაციო შეფასება მაინც აუცილებელია, რათა სწორად იქნეს შერჩეული დაკითხვის მოქნილი ტაქტიკა [4].

[3] სისხლის სამართალის პროცესი, ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, თბ., 2009, გვ. 284
[4] ე. თრენკელი, მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია, თბ., 2009, გვ. 6-7

კრიმინალისტიკის მეცნიერებაში და ფსიქოლოგიაში დაკითხვის პროცესში განასხვავებენ რამოდენიმე სახის ტაქტიკურ მეთოდს, არაკონფლიქტურს და კონფლიქტურს[5].

არაკონფლიქტურ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როცა ინტერესთა თანხვედრას აქვს ადგილი და როცა ვაღწევთ იმ მიზანს, რომელზედაც გამოძიებაა მიმართული და კონფლიქტურ სიტუაციასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა ინტერესთა შეჯახება ხდება და როცა მხარეები ცდილობენ თავისთვის სასარგებლო მიზნების მისაღწევად გარკვეული მოქმედების განხორციელებას, როცა რეალურად, ობიექტურად აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობებს[6].

მცდარია ფიქრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ კონფლიქტურ გარემოებებშია აუცილებელი დაკითხვის სპეციფიკური ხელოვნება და ტაქტიკური მეთოდი. ვინაიდან არაკონფლიქტურ (ჩვეულებრივ სიტუაციაში) დაკითხვის პროცესს თან ახლავს გარკვეული წინააღმდეგობები, რომელიც ბუნებრივათაა ნაკარნახევი, ჩვენების მიცემის მართებულობით. აქედან გამომდინარე უცილობელია, რომ შევაფასოთ არაკონფლიქტური სიტუაცია და განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთ პირებს, რომლებიც თანამშრომლობენ საგამოძიებო სტრუქტურებთან.

მსგავსი წესები და ტაქტიკური მეთოდები გამოიყენება ე.წ. პატიოსანი დაზარალებულის დროსაც. ამიტომ არ ვთვლით აუცილებლად მათ ცალცალკე განხილვას.

თავი 2

დაკითხვის პროცესუალური თანმიმდევრობანი

2.1. დაკითხვის სპეციფიკა

[5] О.Л. Баев. Основы криминалистики. М., 2016, ст. 193-194

[6] Vivian B.Lord, Allen D.Cowan, Interviewing in Criminal Justice, wictims, witnesses, clients and suspects, Canada, 2011, p.10

საერთო ხასიათის პროცესუალური თავისებურებები ითვალისწინებს დაკითხვის წარმოების პროცესუალურ თანმიმდევრობას, რომელიც საერთოა ყველა კატეგორიის დასაკითხი პიროვნებისათვის, რაც გამოიხატება იმაში, რომ საგამოძიებო მოქმედება შესაძლებელია ჩატარდეს იმ ადგილზე, სადაც მიმდინარეობს გამოძიება ან სადაც იმყოფება დასაკითხი პიროვნება, როგორც წესი დღის საათებში. დასაკითხ პირებს ჩვენება შეუძლიათ მისცენ გამომძიებელს პირისპირ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს დამცველის, პედაგოგის, არასრულწლოვანის მშობლების ან მათი ახლო ნათესავების ყოფნას დაკითხვაზე[7].

დაკითხვის დაწყებისას გამომძიებლები, საჭიროებისამებრ, უნდა დარწმუნდნენ დასაკითხის ვინაობაში. უნდა აუხსნას მას თავისი უფლება-მოვალეობები, გაარკვიოს საჭირო საანკეტო მონაცემები. დაკითხვა არსებითად იწყება წინადადებით მოყვეს დასაკითხი საქმის გარშემო რაც იცის, რის შემდეგაც გამომძიებელს შეუძლია დაუსვას შეკითხვები[8].

ჩვენება შეიტანება ოქმში, პირველ პირში მაქსიმალურად სიტყვა სიტყვითი მნიშვნელობით. გარკვეულ შემთხვევაში დაისმება გარკვეული კითხვები და ეცემა შესაბამისი პასუხები. პირს შეუძლია ჩვენება მისი ხელით დაწეროს. ხოლო დაკითხვის დასრულების შემდეგ ოქმი წარედგინება მას ასაცნობად დახელოსაწერად ან გარკვეულ შემთხვევაში მისი თანხმობით მას კითხულობს გამომძიებელი. და ბოლოს ხელს აწერენ დაკითხვაში მონაწილე ყველა წევრები[9].

სანამ განვიხილავთ დაკითხვის ზოგად ტაქტიკურ ხერხებს, ჩამოვაყალიბოთ თუ დაკითხვის რა ტაქტიკურ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს გამომძიებელი.

დაკითხვის ტაქტი კური პირობებია:

ა) აქტიურობა ან პასიურობა;

ბ) მიზანდასახულობა;

გ) ობიექტურობა და სისრულე.

---

[7] იხ.: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. http://matsne.gov.ge/ka/document/view/9034 მოძიებულია 21.09.2019

[8] Ronald P. Fisher, R. Edward Geiselman, The Cognitive Interview method of conducting police Interviews, Eliciting extensive information and promoting therapeutic Jurisprudence, International Journal of Law ans psychiatry, 2010, p. 322

[9] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2019, მუხლი 114-115

დაკითხვის აქტიურობა გამოიხატება გამომძიებლის მიერ ინიციატივის ქონაში, ყველა აუცილებელი ტაქტიკური ხერხის ზუსტად და მარჯვედ გამოყენებაში. იმ პირების მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ ზუსტი ჩვენების მიცემას, დაკითხვას აქვს თავდასხმითი ხასიათი, გამომძიებელი, მის ხელში არსებული ყველა კანონით გათვალისწინებული საშუალებების გამოყენებით ცდილობს მიიღოს რეალური ჩვენება და არ იყოს მხოლოდ უბრალოდ მონაყოლის რეგისტრატორი[10].

დაკითხვის დროს, მიზანდასახულობა ნიშნავს, მის ჩატარებას წინასწარ გონივრულად განსაზღვრული ყველანაირი ინფორმაციის მისაღებად. რასაკვირველია ამით უზრუნველყოფილია ის გამომძიებელი, რომელსაც რეალური წარმოდგენა აქვს დაკითხვაზე.

2.2. ობიექტურობა და ყოველმხრივობა

დაკითხვის ობიექტურობა და სისრულე გამომჟღავნდეს იმაში, რომ გამომძიებელს არა აქვს უფლება თავისი შეხედულების მიხედვით შეამოკლოს მიღებული ჩვენება, შეცვალოს იგი თავისი შეხედულებებისამებრ და თავს მოახვიოს იგი დასაკითხს. ობიექტურობის გარანტიაა კანონით აკრძალული მიმანიშნებელი კითხვების დასმა, ხოლო სისრულის – ჩვენების შეძლებისდაგვარად სიტყვასიტყვით ჩაწერის მოთხოვნა[11].

დაკითხვის ტაქტიკური მეთოდები და ხერხები, სწორედ ის ხერხებია, რომელიც ზოგადად გამოიყენება ყველა კატეგორიის პირთა მიმართ

მათ შორისაა:

ა. დაკითხვისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

ბ. დაკითხვის თანმიმდევრობის განსაზღვრა;

გ. დასაკითხ პირთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება;

---

[10] Madekine Colvin, Jonafhan Fooper, Human Rights in the Investigation and Prosecution of crime, Ozford, 2009, p. 179

[11] კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი. დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007, გვ. 286

დ. საკონფლიქტო სიტუაციების განმუხტვა დადებითი ემოციების წახალისების გზით;

ე. შეკითხვების მიცემის მიზანშეუწონლობა თავისუფალი თხრობის დროს;

ვ. დავიწყებული ფაქტებისა და გარემოებების აღდგენა მოფიქრებული და თანმიმდევრული შეკითხვების მიცემის გზით;

ზ. დარწმუნების ზემოქმედების ხერხის გამოყენება, როდესაც პირი არ იძლევა ჩვენებას ან იძლევა შეგნებულად ცრუ ჩვენებას;

თ. წახალისების ხერხის გამოყენება, როდესაც პირს სურს მისცეს სწორი ჩვენება;

ი. მტკიცებულებათა წარდგენისა და დემონსტრაციის ტაქტიკური ხერხი სწორი ჩვენების მიღების მიზნით[12];

კ. ჩვენების ფიქსაცია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

თემის სრულად გახსნამდე, რაც ითვალისწინებს ცალ–ცალკე დაზარალებულის, მოწმის ბრალდებულის და არასრულწლოვანების დაკითხვისას მათი გამოყენების თავისებურებებს, მოკლედ განვმარტოთ აღნიშნული ტაქტიკური ხერხები, რათა სრული წარმოდგენა შეგვექმნას მათზე[13].

დაკითხვის სწორი და ადამიანური პირობების შემქნას, ერთგავარად პოზიტიური მნიშვნელობა აქვს ობიექტური ჩვენების მისაღებად. ამგავრი პირობების შექმნა გულისხმობს მის სწორ ორგანიზებას. იგი უნდა მოხდეს აბსოლიტურად განმარტოებით, სხვა პირთა დაუსწრებლად, სადაც გამოირიცხება ტელეფონზე საუბარი, ან სხვა რაიმე მოქმედება განყენებულ თემებზე, მაგალითად ტელევიზორის ცქერა და სხვა. გამომძიებელმა ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ გამოსაკითხი და დასაკითხი პირები ერთმანეთს არ შეხვდნენ დაკითხვამდე, რომ რაიმე უარყოფითი ზეგავლენა არ მოხდეს. გამომძიებელი ადგილზე უნდა დახვდეს დასაკითხ პირს, არ ალოდინოს მას, შეხვდეს დასაკითხ პირს დადებითი განწყობით, იყოს თავაზიანი [14].

---

[12] ი. ჩხეიძე, მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. გამომც., „მერიდინია“, თბ., 2010, გვ. 11

[13] М.Л.Якуб, Показания свидетелей и потерпевшихю М., 2017, с. 34-36

[14] Allen J. Vichael, LLB, LLM, BARISTER, “Ceiminal Law”, Fifth Edition, London: Bleckstone, Press Limited, 1999

2.3. დაკითხვის ადგილი და ობიექტური პირობები

ზოგჯერ დაკითხვამ შეიძლება იწარმოოს, მაგალითად პოლიციის განყოფილების მიღმა. გასათვალისწინებელია, რომ დაკითხვაზე გარკვეულ გავლენას ახდენს, ბუნებრივად სამართლებრივი ნორმებიც და ხელსაყრელი ოთახის განლაგება, თუმცა არაა გამორიცხული გავლენა იქონიოს ოჯახურმა და სამსახურეობრივმა უფლება მოვალეობებმ. დროს საკმარისი უნდა იყო, აგრეთვე გასათვალისწინებელია, გარემოცვა, რაიმე ხმაურისა და ხელის შემშლელი გარემოებების არსებობის რეალობა. ბევრი არჩევს საკუთარ სახლს, თუმცა დასაფიქრებელია, რამდენად შესაძლებელია ოჯახურ პირობებში მშვიდად დაკითხვის წარმოება, ინფორმაციის გახსენება, კონცენტრაცია, რამეთუ ისინი მშვიდ გარემოს მოითხოვენ. რამდენად მიზანმიმართული თანამოსაუბრის სახლი ან სამსახურეობრივი გარემო იქნას გამოყენებული? ყველაფერ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნორმალური ურთიერთობის დამყარებისათვის [15].

საქმის მასალების შესწავლის შემდეგ, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული კრიმინალური სიტუაცია და ობიექტური ჩვენების მიღების შესაძლებლობა, გამომძიებელმა სიტუაციიდან გამომდინარე უნდა დაადგინოს დასაკითხ პირთა თანმიმდევრობა. ამ ტაქტიკური ხერხის გამოყენებას, გარკვეული მნიშვნელობა აქვს სწორ და სრული ჩვენების მიღებისათვის [16]. პირველად უნდა დავკითხოთ ის სუბიექტები, ვისგანაც მოსალოდნელია სწორი ჩვენების მიღება, ანუ ვის ჩვენებასაც აქვს არსებითი მნიშვნელობა; აგრეთვე პირი, ვინც ზუსტად ასახავს გარკვეულ ფაქტებს ჩვენების ირგვლივ, რაც გამოძიებას აინტერესებს. 3. საქმის შეფასების შემდეგ უნდა გაირკვეს თუ რომელი მტკიცებულებაა ძირითადი და გადამწყვეტი მნიშვნელობის. ამ დროს აუცილებელია ისეთი შეკითხვების დასმა

ა) თუ, როგორი თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს დაკითხვა

ბ) ჩენების რომელი ნაწილი და შეხედულებაა არსებითი

გ) რა ინფორმაციის მოძიებაა აუცილებელი

დ) დროულად დაიკითხოს კონკრეტული პირი და სხვა.

---

[15] იხ.: http://barbados.usenbassy.gov/ev06292012a.html (მოძიებულია 18.10.2019)

[16] იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები. თბ., 2015, გვ. 265, ხელმისაწვდომია http://libraty.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2016/04/ssssk-komentari.pdf (მოძიებულია 10.11.2019)

ამგვარი მეთოდიკით სარგებლობა გარკვეული შედეგის მომცემია .

2.4. ფსიქოლოგიური კონტაქტის მიღწევა

მოწმის პიროვნებასთან გარკვეული ფსიქოლოგიური ურთერთბა გულისხმობს გარკვეული ამინდის შექმნას, როცა იგი გულმოდგინედ განეწყობა გამომძიებელთან , სადაც იგი განეწყობა ობიექტურად გამორიცხავს ყველანაირ სუბიექტურ მოტივებს და მიზნებს [17].

მოწმის გამოცხადებისთანავე დამკითხავი პირი არკვევს მის პიროვნებას, კავშირს დასაკითხ პირებთან და მასვე განემარტება მისი უფლებები და მოვალეობები, ანუ შედის მართან ფსიქოლოგიურ კონტაქტში, ზემო ხსენებული ინფორმაციის მისაღწევად. ფსიქოლოგიური კონტაქტის მიღწევა ის ტაქტიკური ხერხია, რომელიც აუცილებელია რეალური ჩვენებისა და ჭეშმარიტების მიღწევისათვის, სადაც განიმუხტება დაძაბული ვითარება, უარყოფითი ემოციები და პირი განეწყობა დადებითად. ამ მიზნის მისაღწევად სასურველია გამომძებელმა რაიმე მიზანშეწონილ თემაზე ესაუბროს გამოსაკითხ პირს. სიტყვიერად წაახალისოს იგი დროული გამოცხადებისათვის, მოუწონოს მას საქციელი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მოღვაწეობისათვის და ხაზი გაუსვას მის პიროვნულ დადებით თვისებებს, გულწრფელობასა და პრინციპულობას [18].

გარკვეული სიფრთხილეა საჭირო, როცა შეიძლება გამოყენებული იქნეს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ისეთი მეთოდები, რასაც ქვია ე.წ. ფსიქოლოგირუი ხაფანგები, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი მეთოდის გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საპროცესო კანონს და მორალურ ნორმებს. რეალურად კი აქ იგულისხმება დასაკითხი პირის დარწმუნება იმაში, რომ გამომძიებლისათვის აბსოლიტურად ყველაფერია ცნობილი და, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი და ალბათობის მაღალი ხარისხი და რომ მან უნდა ილაპარაკოს სიმართლე საქმის ირგვლივ და ყველა სიცრუე გამოყენებულ იქნება მის წინააღმდეგ უარყოფითად.გარკვეულ შემთხვევაში უნდა წარედგინოს მტკიცებულებები, მეცეს

[17] ნ. ჯოჯუა, დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართალწარმოებაში - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი, სასემინარო ნაშრომი. თსუ, 2013

[18] შ. ფაფიაშვილი, ნ. გოგნიაშვილი. კრიმინალისტიკა. I-II ტომი, თბ., 2003, გვ. 146-147

დასაკითხს პირს გარკვეული თანმიმდევრობით შეკითხვები, სადაც შესაძებელია მხილებულ იქნას სიცრუეში.

როცა პირი ჩვენებას აძლევს დაუშვებელია მისი გაჩერება და ისეთი კითხვების დასმა, რამაც შეიძლება აზრის დაკარგვა გამოიწვიოს. პირის შეჩერება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი საუბრობს ისეთი ფაქტებისა და გარემოებების შესახებ, რომელთაც არავითარი კავშირია რა აქვს მოცემული სისხლის სამართლის საქმესთან[19].

ობიექტური ჩვენების წინაპირობას წარმოადგენს დამაჯერებელი შეკითხვების მიცემა და მისი კონკრეტიზაცია. თუ პირმა არ გააჟღერა ისეთი ფაქტი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაშინ მას უნდა მიეცეს დამატებითი და ძირითადი კითხვები[20]. როცა გამომძიებელი აწარმოებს თავისუფალ თხრობას, რაიმე ფაქტების უკეთესად გაშუქების მიზნით, დასაკითხ პირს ამ დროს შეიძლება მიეცეს დამატებითი ხასიათის შეკითხვები, არაა გამორიცსული პირსმ იეცეს მოსაგონებელი შეკითხვები და ეს იმ შემთხვევაში, როცა თავისუფალი თხრობის დროს მოვლენები არასწორად ან არასრულყოფილად იქნება ასახული. ამ დროს შესაძლებელია პირს დამაზუსტებელი კითხვებიც დაესვას. ყოველივე ეს ხდება იმ მიზნით, რომ გავარკვიოტ ობიექტური რეალობა, თუმცა არაა გამორიცხული დაისვას საკონტროლო კითხვებიც. როგორც წესი დაუშვებელია მისახვედრი კიხვების დასმა. სწორეს ეს ის შემთხვევაა, როცა გამომძიებელი პირს უკარნახებს პასუხს [21].

როცა დასაკითხი სუბიექტი ობიექტურ ჩვენებას გვაძლევს, თუმცა დამაჯერებლად ვერ იხსენებს გარკვეულ ფაქტებას ამ დროს დიდი მნიშვნელობა ავქს მოსაგონებელი და დასაზუსტებელი კითხების დასმას. ფაქტების ობიექტურად წარმოდგენის მიზნით[22].

---

[19] გ. თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი, №2, 2009

[20] სახელმძღვანელო იურისტებისათვის სასამართლო ექსპერტიზის, ექსპერტი მოწმის დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახე. გამომც.: „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ. 55 ხელმისაწვდომია http://bga.ge/uploads/files/jurnali_pther/Forensics_Vanual-2012_Georgian.pdf (მოძიებულია 15.11.2019)

[21] ი. ბოხაშვილი, გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის საკითხისათვის. ჟურნ. „ადვოკატი“, №3, 2013

[22] იხ.: ქ. ჩომახიშვილი, თ. თომაშვილი, გ. ძებნიაური, ს. ოსეფაშვილი, მ. პატარიძე. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში. თბ., 2016, გვ. 99
ხელმისაწვდომია: http://libraty.count.ge/uploads/merged_document_2.pdf (მოძიებულია 26.11.2019)

და მაშინ, როდესაც საერთოდ არ გვაძევს ჩვენებას მაშინ აუცილებელია გამოვიყენოთ სხვა ტაქტიკური მიდგომები, თუმცა მასვე განემარტება სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის შესახებ, ცრუ ჩვენების მიცემისა და ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის[23].

როცა პირი იძლევა ცრუ ჩვენებას, აუცილებელი ხდება გარკვეული მეთოდიკის გამოყენება ამათუიმ მტკიცებულებათა წარდგენის თვალსაზრისით. ანუ შესაძლებელია სხვადასხვა უკვე დაკითხული პირების ოქმების წარდგენის აუცილებლობა. ჯერ წარედგინება მცირე აზრის მტკიცებულებები, ხოლო შემდგომ მეტად ფასეული. ეს კონდიცია უნდა მივიდეს იქამდე, სანამ პირს არ გაუჩნდება რეალური ჩვენების მიცემის სურვილი. თუმცა არაა გამორიცხული ყველა მტკიცებულება ერთდროულად წარედგინოს, რაც საბოლოოდ პირს ფსიქოლოგიურიად უბიძგებს მისცეს სწორი ჩვენება[24].

2.5. სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობანი

დაკითხვის პროცესში გარდა მტკიცებულების წარდგენისა, შესაძლებელია მისი დემონსტრირების ხერხის გამოყენება, ყოველივე ეს გულისხმობს ნივთიერი მტკიცებულებების წარმოდგენას, ან მაგნიტოფონზე ან ვიდეოკამერაზე ჩაწერილი ფირების დემონსტრირებას. ამგვარი ხერხების გამოყენება ჩვენების მიმცემს, როცა იგი ცრუობს, კიდევ ერთხელ დაარწმუნებს, რომ ყველა გარემოება ობიექტურად არის ასახული სხვადასხვა ტექნიკური საშალების გამოყენების პროცესში.

ტექსნიკური საშუალებების გამოყენება ერთ ერთი წინაპირობაა საქმის მასალების გულდასმით შესწავლისა დასაკითხი პირების გარვევისა და მისი ჩვენების კრიტიკული ანალიზისა. იმისათვის, რომ დადგინდეს ცრუ ჩვენების შენაარსი,

[23] საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილისა ად ი. გაბისონიას რედაქტორობით. თბ., 2013, გვ. 47

[24] ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები. თბ., 2007, გვ. 168-169

აუცილებელია მისი დეტალური შესწავლა, ლოგიკური წინააღმდეგობის აღმოფხვრა, და მათი შეფასება სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. ამ დროს გამომძიებელი განსაზღვრავს სწორად მისაცემ შეკითხვებს, მის ლოგიკურ თანმიმდევრობას, მტკიცბულებათა წარდგენისა და ჩვენების ხერხს და სხვა ტაქტიკურ პოზიციას, რომლითაც ხელი შეეწყობა ობიქტური ჩვენების მიღებას [25].

ერთ-ერთი ტაქტიკური ხერხია აუდიო ვიდეო ფიქსაცია ჩვენებისა, რომელიც არ არის სავალდებულო პროცესუალურად და გამომძიებელი მას იყენებს თავისი შეხედულებისამებრ, რათა დეტალურად იქნეს შესწავლილი იგი, გაირკვეს ინტონაციები და გაირკვეს ვერბალური და არავერბალური ქცევები. ასევე, როცა ჩვენებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, როცა დასაკითხია ავადმყოფი, როცა საქმეში მონაწილებას ღებულობს თარჯიმანი ან როცადასაკითხი პირი არის ფსიქიკური ნაკლის მქონე, რომელიც უუნაროა განახორციელოს დაცვის უფლება [26].

თავი 3.

მოწმის ფსიქოლოგიის შეცნობის თავისებურებანი

მოწმის ჩვენების ჩამოყალიბების პროცესი შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ: აღქმა, დამახსოვრება და აღდგენა-მოგონება ანუ გადმოცემა, რომელთაგან თითოეული მათგანი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

ადამიანის მიერ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება აღქმის გზით იწყება, რომელიც ასევე მრავალი თავისებურებებით ხასიათდება აღქმის პროცესში. მ.ლ. კარნეევასა[27] და სხვათა მოსაზრების საპირისპიროდ, პროფ. ბეჟან ხარაზიშვილი ეხებოდა რა მოწმის ჩვენებას, გარკვეულ ყურადღებას აქცევდა და აღნიშნავდა, რომ ადამიანი

[25] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა, 2003, გვ. 161-162
[26] იხ.: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 76, ხელმისაწვდომია: http://matsne.gov.ge/ka/document/view/90034 (მოძიებულია 17.10.2019)
[27] М.Л. Карнеева. Теория доказательств в советском уголовном процессе, М., 1973, с. 567

უკვე დასრულებულ სახეს 11-დან 16 წლის ასაკში იღებს, როდესაც მას შეუძლია ზუსტად აღიქვას, დაიმახსოვროს და გადმოსცეს ინფორმაცია.

მართლაც, ბავშვებს არ შესწევთ უნარი ხანგრძლივად დააკვირდნენ მოვლენებს, განსაზღვრონ დროის მონაკვეთი, საგნებს შორის მანძილი და ა.შ., ასევე შეზღუდულია მათ მიერ აღქმულის გადმოცემას, რისი მიზეზიც ასევე შეიძლება იყოს საჭირო სიტყვებისა და ტერმინების არასათანადო ცოდნაც, მაგრამ გარდა ზემოთ აღნიშნულისა, არასრულწლოვანის აღქმის და გადმოცემის დეფექტი შეიძლება არასრულყოფილი განვითარების და მისი გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითების შედეგიც იყოს. გარდა ასაკისა, აღქმის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე განწყობა, სმენა, შეგრძნება, მხედველობა და პიროვნების პროფესიაც, ვინაიდან ცნობილია, რომ აღქმის სისრულესა და სიზუსტეზე დიდ გავლენას ახდენს წარსული გამოცდილება და ცოდნა, ინტერესები, მოთხოვნები, ის მიზეზები და ამოცანები, რომელსაც აღქმელი სუბიექტი ისახავს. თუმცა, პროფ. ბეჟან ხარაზიშვილი აქაც მიიჩნევს, რომ განათლებულ პიროვნებასაც ხშირად უჭირს ინფორმაციის სათანადოდ აღქმა და მისი გადმოცემა, სწორად მსჯელობა რაიმე მოვლენის დდროს აღქმული ინფორმაცია შეიძლება ფრაგმენტულიც, ან მრავალეტაპიანიც იყოს. შეიძლება სუბიექტმა აღიქვას მხოლოდ რაღაც ნაწილი მოვლენისა და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან იგი წინასწარ არ არის კონცენტრირებული იმაზე, რომ აღიქვას და დაიმახსოვროს გარკვეული ფაქტები. ეს ძალზე სპონტანურად ხდება და ხშირად მრავალი შეცდომის მიზეზიცაა. გამომძიებელმა ასევე უნდა გაითვალისწინოს აღქმის ილუზიების კანონზომიერებაც, რომელიც საფუძველი ხდება დამახინჯებული და მცდარი ინფორმაციისა, ანუ ე.წ. ფსიქოლოგიური ილუზიები, რაზედაც პროფ. ბეჟან ხარაზიშვილი არსებით აქცენტს აკეთებდა, ეყრდნობოდა რა დ. უზნაძის ფსიქოლოგიურ სკოლას, რომელმაც ექსპერიმენტულად დაადასტურა ილუზიების ფიქსირებული განწყობის განსაზღვრულობა[28]. აღქმის ილუზია შეიძლება გამოიწვიოს ყალბმა რწმენამ, ძლიერმა სურვილმა, აფექტმა. მოწმის შეცდომა შეიძლება ეხებოდეს ზომების მცდარ შეფასებას, მანძილის, სიჩქარის, რიცხვის და ა.შ. მცდარ აღქმას. მაგ., აღქმის სიტუაცია განაწყობს დაშორების აღქმისაკენ, ხოლო ლუპაში საგნის სიდიდის შეცვლისაკენ.

[28] დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგია“, ტ. VI, 1949

ასევე ჰორიზონტისაკენ საგნები აღიქმებიან არა მარტო დიდებად, არამედ დაშორებულებადაც ანუ გარდა იმისა, რომ არაკეთილსინდისიერმა მოწმემ შეიძლება წინასწარი განზრახვით მისცეს ცრუ ჩვენება, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ე.წ. „კეთილსინდისიერ სიცრუესაც“, რომლის სისწორეშიც თვით ჩვენების მიმცემ მოწმესაც არ ეპარება ეჭვი.

ამას ადასტურებს პროფ. შ. ფაფიაშვილის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ-ერთი ლექციის დროს, როდესაც მასთა ლექციაზე შესულმა დეკანის მოადგილემ მიმართა სტუდენტებს ლექცია-სემინარების გაცდენის აღმოფხვრისა და სტუდენტთა მომავალი სამეცნიერო კონფერენციის მზადებასთან დაკავშირებით. შ. ფაფიაშვილმა ისარგებლა შემთხვევით და სტუდენტებს სთხოვა წერილობით ჩამოეყალიბებინათ და აღეწერათ ის პიროვნება, რომელიც შევიდა მათთან აუდიტორიაში. მისი ჩაცმულობა, გარეგნობა და საუბრის თემა. მაგრამ 50 სტუდენტიდან მხოლოდ 31-მა შეძლო მომხდარი ფაქტის შესახებ სწორი ჩვენების ჩამოყალიბება. ზოგიერთმა არა მარტო ის ვერ გაიხსენა, თუ რაზე ისაუბრა დეკანის მოადგილემ, არამედ მისი ჩაცმულობა და გარეგნობაც სრული დამახინჯებით აღწერა[29]. აღნიშნული ექსპერიმენტი ნათლად მეტყველებს იმაზე თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აღქმის პროცესში იმას, თუ რაზეა კონცენტრირებული ადამიანის ყურადღება. აღქმის პროცესზე ძალზე უარყოფითად მოქმედებს ემოციის ისეთი ნაირსახეობა, როგორიცაა შიში ანუ დანაშაულის ეპიზოდების აღქმა ადამიანს ექსტრემალურ სიტუაციაში უხდება, რომელსაც თან ახლავს შიში, რა დროსაც თითოეული სახე ემოციისა თამაშობს მოტივირებულ როლს. ეს მხოლოდ სიტყვებია, რომელსაც ადამიანი გამოხატავს სიტყვები კი ძალზე მწირია იმისათვის, რომ სრულად მოხდეს იმის გამოცემა, რასაც რეალურად განიცდის ადამიანი. განა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ადამიანი რომელიც ამბობს „მე მიყვარს ვაშლი“, „მე მიყვარს დედა“ ან „მე მიყვარს ეს ქალაქი“ ერთნაირ გრძნობას და ემოციას გამოხატავდეს თითოეული მათგანის მიმართ? მაგრამ, ემოცია ერთდროულად ვლინდება შინაგან გრძნობებში, ქცევაში. შინაგანი განცდა სუბიექტურია და ერთადერთი საშუალება მისი გაცნობისა - ანუ კითხვა სუბიექტისათვის - რას განიცდის იგი, თუ ადამიანის თვალზე ცრემლი აქვს,

[29] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა). თბ., უნივერიტეტის გამომც., 2001, გვ. 308

ჩვენ გვიჭირს იმის გაგება, თუ რა ვიცით მისი მიზეზი. ეს არის სიხარულის თუ მწუხარების ცრემლი.

ემოცია მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ინფორმაციასთანაც, რომელსაც ჩვენ ვიღებთ გარემომცველი სამყაროსაგან. ანუ იგი წარმოიშობა მოულოდნელი მოვლენის შედეგად, რომლისთვისაც ჩვენ ვერ მოვასწარით მომზადება, ვერ შევძელით ყველა ინფორმაციის შეკრება, რომელიც აუცილებელია ადეკვატური რეაქციისათვის, ე.ი. ემოცია არ წარმოიშობა, თუ ჩვენ ვხვდებით მოცემულ სიტუაციას საჭირო მონაცემების საკმარისი მარაგით.

უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო მეტად მივიწევთ ევოლუციურ საფეხურზე, შესაბამისად ადგილი ეთმობა უფრო რთულ და მრავალფეროვან ქცევის ფორმას, ვინაიდან ემოციЗური რეაქცია დამოკიდებულია გონებრივ განვითარებაზე და რაც უფრო მეტია დონე განვითარებისა, მით უფრო ადვილად შესწევს უნარი ინდივიდს გაიგოს მიზეზი იმასთან შეუსაბამობისა, რასთანაც მას მოუხდა შეჯახება და იმასთან, რასაც იგი ელოდა და ამის წყალობით შეამციროს თავისი ემოციური რეაქცია. მაგრამ ყოველთვის არც ეს არის საკმარისი იმისათვის, რომ ადამიანმა აკონტროლოს საკუთარი ემოცი ა. მხოლოდ ერთეულებს თუ შესწევთ უნარი ნებისმიერ შემთხვევაში შეინარჩუნონ სრული სიმშვიდე. უფრო მეტად მისი ქცევა დაკავშირებულია იმ სოციალურ კონტექსტთან, რომელშიც წარმოიშობა მოცემული სიტუაცია. ადამიანს შეუძლია დაიჭიროს თავი ძალზე დელიკატურად ერთ სიტუაციაში და პირიქით, მუდმივად ემოციურ სიტუაციაში იყოს მეორე შემთხვევაში, ანუ სიტუაცია თითქოს ისეთივეა, მაგრამ აღქმა საერთო კონტექსტისა მას აქცევს სხვაგვარად.

ასევე სრულიად ვეთანხმებით პროფ. ბ. ხარაზიშვილის მოსაზრებას შეშინებული ადამიანის აღქმის სიზუსტისა და სისრულის ეჭვქვეშ დაყენების შესახებ, ვინაიდან აღქმის პროცესში აღმოცენებული მკვეთრი განცდები აღქმის სიზუსტესა და სისრულეს მკვეთრად ანელებს - რაც ფაქტიურად გამორიცხავს კიდევაც აღქმის ობიექტურობას. მაგ., აღქმის პროცესში განცდილი შიშის შედეგად პირმა შეიძლება ტანდაბალი, გამხდარი ადამიანი აღიქვას მაღალ, მხარ-ბეჭიან, ძლიერ პიროვნებად. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს სქესიც, ვინაიდან ქალები უკეთ აღიქვამენ, აღქმულს კი ნაკლებად ივიწყებენ, მაგრამ უფრო მეტად ამახინჯებენ გადმოცემის დროს. ასევე მომხდარი შემთხვევებიდან გასული დრო ქალებს უფრო ხანგრძლივად

ეჩვენებათ, ვიდრე მამაკაცებს[30]. პროფ. ბ. ხარაზიშვილი არ ეთანხმება ასევე იმ მოსაზრებასაც, თითქოს გამომძიებლის მხრიდან მოწმისათვის შთამაგონებელი კითხვების დასმა უფრო მეტად ამახინჯებდეს ფაქტებს და არსებითად მოქმედებდეს ჩვენების შედეგზე და მიიჩნევს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ეჭვქვეშ მოექცეოდა თვით ექსპერიმენტატორ-ფსიქოლოგთა დებულებანიც, რადგან აღქმისა და მოგონების გარეშე მათი ცდებიც დაკარგავდნენ საზრისს. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ გამომძიებელმა ისეთი კითხვები უნდა დაუსვას მოწმეს, რომელიც გაუადვილებს დეტალების გახსენებას და საქმისათვის საჭირო გარემოებების აღდგენას, გამოიწვევს დამატებით ასოციაციებს და საბოლოოდ გამოაცოცხლებს მეხსიერებას.

თუმცა პროფ. ბ. ხარაზიშვილისაგან განსხვავებთ ზოგიერთი ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ გამომძიებლის მიერ მოწმისათვის მეხსიერებაში დავიწყებული ფაქტების გახსნებისათვის შთამაგონებელი კითხვების დასმა არ შეიძლება, რასაც იმ გარემოებით ხსნიან, რომ მეხსიერება აღქმის მსგავსად გარესამყაროს ასახვის პროცესია, რომელიც ასევე მოიცავს დამახსოვრებას, შენახვასა და გადმოცემას[31]. მაგრამ როდესაც მოწმეს უძნელდება რაიმეს მოგონება, გამომძიებელს კი ძალზე ესაჭიროება მის ჩვენება - კონკრეტული საკითხის შესახებ, დაჟინებით მოითხოვს მისგან მოგონებას. ამ შემთხვევაში კი მოწმე ხშირად ფანტაზიას იშველიებს და ასებს „ხარვეზს“. მას შეიძლება აღარ ახსოვდეს, რა ფერის პიჯაკი ეცვა თავდამსხმელს, მაგრამ გაიფიქროს, რომ ის პიჯაკი შეიძლება შავიც ყოფილიყო. ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, პროფ. ბ. ხარაზიშვილს მიაჩნია, რომ მისი დადგენა თუ რამდენად კეთილსინდისიერია მოწმის ჩვენება, ძალზე ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც. ძნელია ერთნაირად გავიგოთ მოწმის მიზანი, ცრუობს თუ არა იგი. მითუმეტეს, რომ ჩვენ არ ვიცით, ასევე მის დამოკიდებულება ბრალდებულთან, დაზარალებულთან და სხვა პირებთან, რომელიც საფუძვლიანად უნდა შემოწმდეს, ვინაიდან ზოგად ცნობებზე დაყრდნობით სასურველი შედეგის მიღწევა ნამდვილად შეუძლებელია.

ასევე საკმარისი არ არის პიროვნების ავტორიტეტიც, მისი დამსახურება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი თანამდებობრივი მდგომარეობა, განათლება. რა

[30] შ. ფაფიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 309
[31] თ. გოგიჩაიშვილი, იურიდიული ფსიქოლოგია, თბ., 1997, გვ. 27

თქმა უნდა, აქ უნდა იყოს გათვალისწინებული ის გარემოებაც, რომ თანამდებობრივი მდგომარეობა და დამსახურება ნამდვილად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვაღიაროთ მოწმის ჩვენების კეთილსინდისიერება, მითუმეტეს ცნობილია, რომ აღნიშნულ პირებს ყველაზე ხშირად უწევთ ტყუილის თქმა, ხშირ შემთხვევაში სიყალბის ჩადენა, ამიტომ აღნიშნული გარემოება მათი კეთილსინდისიერების საზომად ნამდვილად ვერ გამოდგება, თუ ჩ. კულის საზოგადოებრივი სარკის თეორიას გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ ადამიანი ყოველთვის ადარებს თავს სხვას, მის მსგავს და ხშირ შემთხვევაში ემსგავსება კიდევაც მათ. შესაბამისად კი უჩნდება აზრი სხვა ადამიანთა შეფასებისა და ის ქცევა, რომელიც ადამიანში იკიდებს ფეხს, მასზე ვრცელდება და შემდგომ განვითარებასაც იღებს. მაგრამ არ არსებობს სიცრუე მოტივის გარეშე. მას გარკვეული მიზეზი და მოტივი აქვს - საერთო ჯამში კი ფსიქოლოგიური ქცევის ხერხი, რომელიც პიროვნების ფიზიკურ ქცევაში იჩენს თავს. ერთ შემთხვევაში ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება მოატყუოს მეორე პირი ამ დროს მოტყუებას ერთგვარად თვითმიზანი აქს. თვით მოტივში ჩანს ქცევის ხასიათი, მისი შინაარსი, რომელსაც გარკვეულწილად ხელს უწყობს ფორმალიზმი ადამიანთა ურთიერთობაში, ანუ ე.წ. „მორალური“ მოთხოვნები რომელსაც თვითონ ადამიანები უყენებენ თავიანთ თავს ვალის მოსახდელად. საერთო ჯამში, მოტივიც გვევლინება იმ ქცევის საზრისად, რომელსაც განსაზღვრავს პიროვნებისათვის ნებადართული მოთხოვნილება ამ უკანასკნელის უზრუნველსაყოფად. მაგრამ, მიზანიც უშუალოდ მოტივიდან გამომდინარეობს, რომელიც შეიძლება იყოს საზოგადოებრივი და პირადული ხასიათის[32]. სწორედ ამიტომ, ზემოთ აღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით პროფ. ბ. ხარაზიშვილი მოწმის ჩვენების შეფასების პროცესში სამართლიანად მიიჩნევს ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაცემების გამოყენებას და გამომძიებლის მიერ მიღებული ინფორმაციის სათანადოდ შემოწმებას არა მხოლოდ დაკითხვის შემდგომ, არამდე ჩვენების მიცემის პროცესშიც, რომლის ძირითად მიზეზი ისევ და ისევ სათანადო და საიმედო მტკიცებულების მიღებაა.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ მრავალი საშუალება და ხერხი არსებობს იმისათვის, რომ მიღებული იქნეს საიმედო და სათანადო ინფორმაცია, მიმაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებაც აუცილებელი და

[32] ბ. ხარაზიშვილი, სიცრუის ფსიქოლოგია, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975

მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნეს გამომძიებლისა და სასამართლოს მიერ ჩვენების ფორმირების პროცესში.

თავი 4

დაკითხვის ზოგიერთი თავისებურება სისხლის სამართლის პროცესში

4.1. მტკიცების პროცესის სტრუქტურა და დინამიკა

მტკიცების ფორმირების პროცესი პირობითად ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ. პირველ ეტაპზე ყურადღება ეთმობა მომხდარი ქმედობის ობიექტური რეალობის აღქმას (შემეცნების პროცესს). მეორე ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ამ ვითარებათა პროცესუალური შემოწმებისა და შეფასების მომენტს[33]. მაშასადამე, პირველ ეტაპს ყოველთვის მტკიცებულებათა ფორმირების წინაისტორიული მნიშვნელობა აქვს, და ამდენად მტკიცებულების ობიექტურ მნიშვნელობას ყოველთვის შეიძლება ჰქონდეს სუბიექტური ფორმა. რუს პროცესუალისტთა აზრით, მტკიცებულებას ყოველთვის ორმაგი გამოსახვის მნიშვნელობა აქვს (დავაზუსტებ, რომ არა მხოლოდ ორმაგი, არამედ მტკიცებულებას ყოველთვის ემპირიული კონსტანტაციების მნიშვნელობის ზოგადი შეფასების მქონე სუბიექტური საფუძველი აქვს). უნდა ითქვას, რომ მტკიცების ცნება ზოგადია, და იგი აერთიანებს პროცესის სხვადასხვა სუბიექტთა ინდივიდუალურად რადიკალურ როლს (მოწმის, ბრალდებულის, დაზარალებულის ჩვენებები) და სხვა.

ამ კუთხით ჩვენების ფორმირების ორ მომენტს უნდა გავუსვათ ხაზი: 1. პროცესუალურამდელი და 2. პროცესუალური სტადიები. რამდენადაც ყოველი გამოსაკვლევი ვითარება თითქმის ყოველთვის ექსტრაორდინალურია, პირველი სტადია მთლიანად მოიცავს უფლებამოსილ სუბიექტთა მოქმედების შემეცნებითი მხარეს (მოპოვებული ინფორმაციის აღქმის, დამახსოვრების, რეპროდუქციის ფაქტებს).

მეორე სტადიის საწყისი უშუალოდ პროცესუალურ მოქმედებებს უკავშირდება (სს დევნის აღძვრა (დევნა), მოწმეთა, ბრალდებულთა, დაზარალებულთა და სხვა, დაკითხვა, სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედების ჩატარება). ამ დროს ყურადღება უნდა მიექცეს პროცესის სუბიექტთა ფსიქოლოგიურ დატვირთვას

[33] იხ.: С.А. Шейфер, Следственные действия: Система и процессуальная форма. М., 1981; Теория доказательств в советском уголовном процессе, М., 1973

(როგორც საგამოძიებო (სასამართლო) პრაქტიკა მოწმობს, ფიქსირებული ჩვენების ობიექტურობის პრეზუმფციის ეჭვს ყოველთვის იწვევს ისეთი ობიექტური და სუბიექტური მოტივები, როგორიცაა: ინფორმაციის მრავალჯერადი გადამუშავების ინდივიდუალური ხასიათი, მისი ვერბალიზაციის, შინაგანი მეტყველების ზეპირი ფორმის მიცემის თავისებურებების, აღქმისა და შემდგომი დასკვნების გაკეთების და სხვა). საბოლოო ჯამში გამოსაკვლევი ვითარების საწყისს აერთიანებს საოქმო (პროცესუალური) ფორმა და ამდენად იგი იძენს მტკიცებულების სახეს[34].

იმდენად, რამდენადაც მტკიცების ფორმირების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ფსიქიკურ პროცესებს ეთმობა, მიზანშეწონილად მიმაჩნია ყურადღება მივაქციოთ დაკითხვის დროს შესაძლო გავლენის მომხდენ სხვადასხვა სუბიექტურ ვითარებათა დაშვების შესაძლებლობებს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ „დაკითხვა“ იწყება პირისათვის იმის განმარტებით, რომ ... თქვას ყველაფერი, რაც საქმის ირგვლივ იცის. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს დასაკითხი პირისათვის ე. წ. დაკითხვის საგნის სწორად განსაზღვრას, ანუ მის წინაშე მდგარ რეპროდუქციული ამოცანის მიზანმიმართულ ფორმულირებას (თუ დასაკითხად გამოძახებულმა პირმა სწორად ვერ აღიქვა საკვლევი ობიექტი, ამან შეიძლება მიგვიყვანოს მცდარ დასკვნამდე. ამიტომ დასმულ შეკითხვას ყოველთვის უნდა მოეთხოვებოდეს სიზუსტე, სინათლე და ერთმნიშვნელობა). თუმცა, ტაქტიკური პოზიციებიდან გამამართლებულად მიმაჩნია დაკითხვის წარმოება დასაკითხი პირისათვის გასაგები ენითა და მეტყველების გაწონასწორება მის ინდივიდუალურ თავისებურებებთან (კულტურის დონე) და სხვა.

ამიტომ, ამ დროს მნიშვნელოვნად მივიჩნევ კითხვის დასმის ინტონაციას. ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ინტონაცია განისაზღვრება იმით, რომ სიტყვის აზრობრივ მნიშვნელობას ჰქონდეს ლექსიკური შემადგელობის, სინტაქსური წყობის, სტილისტური თავისებურებების და კომუნიკაბელური მნიშვნელობა[35]. გასათვალისწინებელია, რომ ესოდენ საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულების დროს (ასეთად მიმაჩნია ჩვენების მიცემის პროცესი) სუბიექტს ხშირად უყალიბდება

[34] იხ.: А.Р. Ратинов, Н.И. Гаврилова, Логико-психологическая структура лжи и ошибки в свидетельских показаниях. Вопросы борьбы с преступностью, М., 1982, с, 52-53
[35] В.А.Артемьев. Тон и интонация, М., 1961, с. 3

დაბნეულობისა და შინაგანი დაურწმუნებლობის გრძნობა, რაც ყოველთვის ხდება მცდარი მსჯელობებისა და შეფასებების მომასწავებელი.

4.2. დაკითხვის ფსიქოლოგიური წყობა და სტილი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეცდომების ვერ გამოვრიცხავთ იმ დროსაც, როდესაც ხდება შინაგანი მეტყველების გარეგნულ ფორმად გამოვლინება. მსჯელობის შინაგანი ფორმა სუბიექტურად განიცდება, რაც ხშირად ფრაგმენტულობითა და აზრთა შემოკლებით ვითარდება. ფსიქოლინგვისტები დიალექტოლოგიიდან სამ ჯგუფს გამოყოფენ: 1. პროფესიონალურს; 2. ჟარგონს; 3. პირობით ენებს. დასახელებული „დიალექტები“ სხვადასხვა ხარისხით ვრცელდება საერთო საზოგადოებრივ ენებში. ზემოთქმული მოვიყვანეთ იმისათვის, რომ ზოგიერთი მეტყველებითი თავისებურებანი შეიძლება უცნობი იყოს სათანადოდ უფლებამოსილი პირისათვის, ამიტომ მათი სწორად გაგებისათვის მიზანშეწონილია იგი დაკითხვის პროცესშივე შემოწმდეს დუბლირებული, განმეორებითი, თუ საკონტროლო კითხვებით (საგამოძიებო (სასამართლო) პრაქტიკის ანალიზი იმის კონსტანტირების საშუალებას გვაძლევს, რომ წინათ მიცემულ ჩვენებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ყველაზე გავრცელებულ მიზეზად მივიჩნიოთ მოწმეთა მიერ იმის მტკიცება, რომ უფლებამოსილ პირთა მიერ არასწორად თუ არასრულყოფილად მოხდა ჩვენების (თხრობის) აღქმა და მისი ფიქსაცია).

ხშირია შემთხვევები, როდესაც დაკითხვა წარმოებს თუნდაც თარჯიმნის მეშვეობით[36].ცნობილი ფსიქოლოგის ლ.რუბინშტეინის აზრით, სადაც იგი ამბობს, რომ ინდივიდის აზრმა, როგორც ცხოვრებისეულმა ფაქტმა, მიზანმიმართულად ჰპოვოს თავისი გამოსახულება, აუცილებელია ე.წ ქვეტექსტის ზუსტი ანალიზი.

[36] იხ.: А.И. Михайлов, У.У. Подголин, Письменная речь при производстве следственных действий. М., 1980. с. 63-65

გასარკვევად იმისა თუ, რათქვა ფორმალურად, არამედ იმისა, რისი თქმაც მას სურდა. ესეიგი უნდა შეფასდეს მიზანი და მოტივი[37].

რაც შეეხება მტკიცების პროცესთა საოქმო ფორმას, საგამოძიებო (სასამართლო) პრაქტიკაში დიდ ხანია დამკვიდრებულია ე. წ. სტილისტური ოქმების ისეთი ფორმები, როგორიცაა: „საქმის ირგვლივ დასმულ კითხვაზე გიპასუხებთ“ ან „კითხვაზე გიპასუხებთ, რომ“ და სხვა. ყოველივე აღნიშნული, ტაქტიკური თვალსაზრისით, მიუღებლად მიმაჩნია, იგი ხომ საგრძნობლად ამცირებს მის მტკიცებით ღირებულებას, მაშინ, როცა უფლებამოსილი სუბიექტი ყოველთვის უნდა იდგეს არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ შემოქმედებითი ამოცანის წინაშე. არაფერს ვამბობ ჩვენების მიცემის თავისუფალი თხრობისა და კითხვა–პასუხის სახით ჩამოყალიბების იმპერატილობაზე. ეს გარემოება ყურადღებას განსაკუთრებით მაშინ იპყრობს, როდესაც წარმოიშობა ლოგიკური წინააღმდეგობის აღმოფხვრის რეალური საჭიროება[38].

გავრცელებულია შეხედულება, უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაკითხვის ეფექტურობის შესახებ. მიმაჩნია, რომ სწორედ ამ დროს წარმოიშობა წინდახედულობის რეალური აუცილებლობა, გათვალისწინებით იმისა, რომ ასეთ დროს მიღებული ჩვენება შესაძლებელია გამოირჩეოდეს ფრაგმენტულობით, ლოგიკური არათანმიმდევრობითა და რიგ შემთხვევებში, წინააღმდეგობრიობით. ამის განპირობებულ მიზეზებად შეიძლება უამრავი ნიმუში მოვიყვანოთ. მაგ., მომხდარი ქმედების სოციალურ–ფსიქოლოგიური ატმოსფერო, მოწმის (დაზარალებულის და სხვა) ემოციურობა, აღელვებული მდგომარეობა და ა. შ. მეტად პროდუქტიული ხომ არ იქნება თუკი დაკითხვა იწარმოებს ყველა ამ სუბიექტურ ფაქტორთა სათანადო განზოგადოებით?

სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების დროს ხშირია შემთხვევები პირის დამატებითი დაკითხვის აუცილებლობისა (ამას, ერთი მხრივ, იწვევს სუბიექტური – საქმის ფაქტიურ ვითარებათა არაგულმოდგინე გაანალიზება, და ზოგიერთ დეტალთა უყურადღებობა, მეორე მხრივ, ობიექტური – (ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამოკვლევისა) და მრავალი სხვა მიზეზი). მიუხედავად ამისა,

[37] იხ.: С. Л. Рубинштейн, Основы общей психологии. М.-Л., 1947, с. 194

[38] იხ.: В.Е. Еминов, Н.И. Гаврилова, Т.В. Сараль, Экспериментальное исследование некоторых факторов, влияющих на достоверность свидетельских показаний. Вопросы борьбы с преступностью. М., 1974, с. 135-148

ტაქტიკური პოზიციიდან გამართლებულად ჩავთვლიდით, თუკი იგი იწარმოებდა არა ტრადიციულად დამკვიდრებული კითხვით – „ადასტურებს თუ არა წინათ მიცემულ ჩვენებას?“ მიმაჩნია, რომ ამას მოსდევს ფაქტის არაპირველადი ფორმით აღქმა, არამედ პირი მიმართავს იგივე გამონათქვამს, რასაც ადგილი ჰქონდა პირველი დაკითხვისას. გარდა აღნიშნულისა, პირის დაკითხვის პროცესი ხშირად გამოირჩევა ისეთი ფრაზეოლოგიით, როგორიცაა: „ეტყობა“, „დაახლოებით ვიხსენებ“ ან თუნდაც „ზუსტად ვიცი“, „კატეგორიულად ვამტკიცებ“ და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულის გაანალიზებით, მიზანშეწონილია კრიმინალისტიკის მეცნიერებამ შეიმუშავოს დაკითხვის ტაქტიკური ფორმები მოსალოდნელი წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად, თუნდაც უცილობელი გათვალისწინების ღირსია ის მომენტიც, რომ ხშირად პირის სუბიექტური დამოკიდებულება იშვიათად შეესატყვისება რეალურ მონაცემებს და ნაკლებად ამართლებს პირის გარეგნულად დამაჯერებელ გამომეტყველებებს.

თავი 5.

დაკითხვის ტაქტიკური საკითხები ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთა საქმეზე (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა)

დაკითხვის მომზადებას მოწმის და ბრალდებულის დაკითხვის დროს ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის საქმეზე ენიჭება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ამ კატეგორიის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის.

დაკითხვის მომზადება და დაკითხვის ჩატარების საკითხებს ეძღვნება კრიმინალისტ–მეცნიერებისა და სისხლის სამართლის პროცესის სპეციალისტების შრომები. ამიტომ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთი საკითხების განხილვაზე, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული თემასთან.

ისეთ დანაშაულებრივ ქმედებაზე, როგორიცაა ქურდობა, ყაჩაღობა და ძარცვა, პირველ რიგში, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დაკითხვის მომზადებას, რაც უზრუნველყოფს შემდეგში დაკითხვის ჩატარების ეფექტურობას, სწორი ჩვენების მიღებასა და შეძლებისდაგვარად გაადვილებს საქმეზე ჭეშმარიტების მიღწევას.

დაკითხვის მომზადების პროცესს ზოგჯერ პრაქტიკაში არ ეთმობა სათანადო ყურადღება და იგი გარკვეულ შემთხვევაში ატარებს ფორმალურ ხასიათს, რაც შემდგომში ართულებს დაკითხვის პროცესში სასურველ და საქმესთან დაკავშირებულ მონაცემების ეფექტურ დადგენას.

ქურდობა, ძარცვისა და ყაჩაღობის საქმეზე დაკითხვის მომზადება გულისხმობს სისხლის სამართლის საქმის გულდასმით შესწავლას, ყელა იმ მასალის გაანალიზებას, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას, დანაშაულის ჩადენის ხერხის განსაზღვრას, დანაშაულის ჩადენის პირობების დადგენას, დანაშაულის დაფარვასა და საქმესთან დაკავშირებულ სხვა მონაცემების აღრიცხვას.

საქმის მასალების გაცნობის შედეგად უნდა გაირკვეს თუ ვისი სახით უნდა დაიკითხოს პირი (მოწმის, ბრალდებულის) და სად უნდა მოხდეს მისი დაკითხვა. უნდა დაიკითხოს პირი გამოძიების ადგილზე, თუ მისთვის ჩვეულებრივ პირობებში (სამუშაო ადგილზე, სასწავლებელში, საცხოვრებლის მიხედვით). დაკითხვის მომზადება ასევე იმასაც გულისხმობს, თუ რა სახის შეკითხვები უნდა დაესვას

დასაკითხ პირს და რა მოსალოდნელი პასუხები იქნება გაცემული დასმულ შეკითხვებზე. საქმის მასალების შესწავლა ასევე დასაკითხი პირის ისეთი ინდივიდუალური თვისებები, როგორიცაა მისი ჯანმრთელობა, ფსიქიკური მდგომარეობა, განათლება, ურთიერთობა დანაშაულის ჩადენაში სხვა მონაწილე პირებთან.

დაკითხვის მომზადება და საქმის მასალების გაცნობა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ის შეკითხვები, რომლებიც უნდა იყოს დასმული დასაკითხი პირისადმი და მოსალოდნელი პასუხები, რა სახის ტექნიკური საშუალებები უნდა იყოს გამოყენებული დაკითხვის დროს (ფოტოგადაღება, კინოგადაღება, ვიდეო და აუდიო აპარატურის გამოყენება), ვინ უნდა დაესწროს დაკითხვას და რა მიზნით (სპეციალისტი, ექიმი, დამცველი, კანონიერი წარმომადგენელი, თარჯიმანი).

ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხი უნდა იყოს ასახული წერილობით დაკითხვის გეგმაში, რომლის შედგენაც სავალდებულოა რთულ და მრავალეპიზოდიან საქმეებზე[39].

ქურდობის, ძარცვისა და ყაჩაღობის საქმეთა გამოძიებისა და დაკითხვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე ისეთი საკითხები, რომლებსაც გარკვეულწილად შეუძლია გავლენა მოახდინოს ჩვენების სისწორეზე. ამ საკითხებს განეკუთვნება ჩვენების ფორმირების პროცესი, ე. ი. დადგენილი უნდა იყოს ისეთი გარემოებანი, რომლებიც გარკვეულ პირობებში ზეგავლენას ახდენენ ჩვენების ფორმირებაზე. ამ საკითხს კი საფუძვლად უდევს ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური გარემოებანი ჩვენების აღქმის, დამახსოვრებისა და გადმოცემის საკითხზე.

ჩვენების აღქმის სისრულეზე ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს როგორც სუბიექტურმა, ისე ობიექტურმა ფაქტორებმა. პირველს მიეკუთვნება ისეთი გარემოებანი, რომელიც დაკავშირებულია ჩვენების მიმცემ პიროვნებასთან. კერძოდ, მისი ნერვული სისტემის მდგომარეობა, სულიერი აღელვება, ფიზიკური მდგომარეობა (სიმთვრალე, ავადმყოფობა, დაღლილობა, ემოციურობა, მხედველობა, პროფესია და ა.შ.).

---

[39] დაკითხვის მასალების საკითხის შესახებ იხ. შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა), თბ., 2001, გვ. 299-305; კრიმინალისტიკა, ტომი II, თბ., 1995, გვ. 87-91; ვ. შინდელაშვილი, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის მომზადება, ჟ. „სამართალი“, 2001, N4, გვ. 61-64

ჩვენების ფორმირებაზე ასევე დადებითი ანუ უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს ობიექტურმა პირობებმა: ამინდმა, აღსაქმელი გარემოების სიშორემ ან სიახლოვემ, ჰაერის ტემპერატურამ, განათებამ ან სიბნელემ, მოვლენის დაკვირვების ხანგრძლივობამ და ა.შ.

ბრალდებულის, დაზარალებულსა და მოწმის ჩვენებებზე ქურდობის, ყაჩაღობისა და ძარცვის საქმეზე გათვალისწინებულ უნდა იყოს ასევე ჩვენების ფორმირების ისეთი მნიშვნელოვანი მომენტი, როგორიცაა აღქმული გარემოების დამახსოვრება. ჩვენების დამახსოვრებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა აღქმული ჩვენების დამახსოვრების დროს ხანგრძლივობა, ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა, ასაკი, „სკლეროზი“, მხედველობა, პიროვნების ემოციის ხარისხი, აღქმული გარემოების კარგი ცოდნა, პიროვნების პროფესია და ა.შ.

ბოლოს, უნდა იყოს გათვალისწინებული აღქმული და დამახსოვრებული ჩვენების გადმოცემის უნარი. ჩვენების გადმოცემის უნარზე გავლენის მოხდენა შეუძლია როგორც დასაკითხი პიროვნების ნიშან–თვისებებს, ასევე დასაკითხი პირისადმი დასმული შეკითხვების სისწორეს, დასაკითხი პირისადმი ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებას, მისი დადებითი ემოციების წახალისებას, უარყოფითი ემოციების დაგმობას, ცრუ ჩვენების მიცემისათვის მოწმისა და დაზარალებულისათვის პასუხისმგებლობის ფაქტის განმარტებას და ა.შ.

ჩვენების ფორმირების პროცესი სრულყოფილად არის განხილული ქართულ კრიმინალისტიკურ და პროცესუალურ ლიტერატურაში[40].

---

[40] იხ.: ბ. ხარაზიშვილი, მტკიცებითი სამართალი, თბ., 1982, გვ. 228-271; კრიმინალისტიკა, ტომი II, თბ., 1995, გვ. 91-98; ზ. ინწკირველი, ბრალდებულის ჩვენების შეფასების პროცესუალურ–ფსიქოლოგიური საფუძვლები. თბ., 1998; ზ. ინწკირველი, ბრალდებულის ჩვენების შეფასების პროცესუალური მნიშვნელობა. ჟ. „სამართალი“, N5-6, 1998, გვ. 43-45; ზ. ინწკირველი, ბრალდების ცრუ აღიარების მიზეზები და მათი გამოვლენის მექანიზმი ფსიქოლოგიური და პროცესუალური ხერხით და საშუალებით, ჟ. „სამართალი“, 2000, N3, გვ. 63-68; შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა), თბ., 2001, გვ. 291-305; სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2002, გვ. 279-286; რ. გრიგალაშვილი, დანაშაულის პიროვნების ზოგადი ფსიქოლოგიური დახასიათება, ჟ. „სამართალი“, 1997, N5-6, გვ. 64-68

5.1. კონფლიქტური სიტუაციის პირობებში დაკითხვის თავისებურება და ტაქტიკა

დაკითხვა, როგორც მტკიცებულებების მიღების ერთ–ერთი მთავარი წყარო, ხშირად მიმდინარეობს კონფლიქტური ფორმით, ამიტომ დაკითხვის ტაქტიკური ხერხების გამოყენება გარდაუვალია, მაგრამ ამასთან უდნა იყოს უზრუნველყოფილი კანონიერება, დასაკითხი პირის ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

დაკითხვის ამა თუ იმ ხერხის გამოყენება, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, კონფლიქტური პირი პირველად იკითხება თუ ადრეც იყო დაკითხული, რა გარემოებაში მიმდინარეობს დაკითხვა, რა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია დასაკითხი და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ შემთხვევაში აქვს გამომძიებლის ფსიქოლოგიურ თვისებებს. კონფლიქტური სიტუაციები წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც პირი უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე, იძლევა ცრუ ჩვენებას (მწვავე კონფლიქტური სიტუაცია), ზოგიერთ ფაქტს შეგნებულად ფარავს, დაკითხვის დროს ზოგიერთ პირს ცილს სწამებს და სხვ.

გამომძიებლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს იმ მიზეზების განსაზღვრა, რომლებმაც გამოიწვია დასაკითხ სუბიექტთან კონფლიქტი. მათი დადგენა და აღმოფხვრა ეხმარება გამომძიებელს დაძლიოს კონფლიქტი.

დაკითხვის დაწყება – მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო მომენტია. ამიტომ პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც გამომძიებელი ახდენს დასაკითხზე, ხშირად განსაზღვრავს მათ შემდგომ ურთიერთობას.

როგორც წესი, დაკითხვა იწყება შეკითხვით: ცნობს თუ არა ბრალდებული თავს ბრალეულად, რის შემდეგაც გამომძიებელი სთავაზობს მას მისცეს ჩვენება ბრალდებასთან დაკავშირებით. ბრალდებულს შეუძლია თავი ცნოს ნაწილობრივ ბრალეულად, ან საერთოდ უდანაშაულოდ, და ბოლოს, საერთოდ შეცვალოს ჩვენება. ამ კითხვაზე და მის პასუხზე დამოკიდებულია დაკითხვის შემდგომი ტაქტიკა.

სიტუაცია, როდესაც ბრალდებული დაკითხვისას იძლევა ცრუ ჩვენებებს, ყველაზე გავრცელებული სახეა კონფლიქტური სიტუაციისა. ცნობილია, რომ საერთო წესს, კონფლიქტურ სიტუაციაში, წარმოადგენს „თავისუფალი მოყოლის“ გამოყენების შესაძლებლობები, ჯერ ერთი, დასაკითხთან ფსიქოლოგიური

კონტაქტის დასამყარებლად, მეორე, რაც შეიძლება ვრცელი ინფორმაციის მისაღებად. ზ. ინწკირველი სავსებით სამართლიანად მიუთითებს, რომ „ფსიქიკურ მდგომარეობა შეუძლია მოახდინოს როგორც კეთილსასურველი, ისე არაკეთილსასურველი ზემოქმედება ადამიანის აქტიურ საქმიანობაზე, განსაკუთრებით კი დაკითხვის პროცესზე... ეს შესაძლებელს ხდის შემუშავებულ იქნას დაკითხვის ისეთი ტაქტიკა, რომელიც აიცილებდა ზოგიერთ ფსიქიკურ გარემოებას“[41].

ვინაიდან ტაქტიკური ხერხები, რომლებიც გამოიყენება სიცრუის აღსაკვეთად, უპირველესად, დამოკიდებულია გამომძიებლის ხელთ არსებული მამტკიცებელი მასალების მოცულობაზე, მიზანშეწონილია მათი დალაგება საწყისი მონაცემების მოცულობის მიმართებაში[42].

5.2. მტკიცებულებათა გამოყენება დაკითხვის დროს

კონფლიქტურ სიტუაციაში ბრალდებულის დაკითხვისას მტკიცებულების წარდგენის არსი მდგომარეობს გამომძიებლის ხელთ არსებული მამტკიცებელი ინფორმაციის შინაარსის დემონსტრირება, ტაქტიკურად მიზანშეწონილ საზღვრებში, დასაკითხზე აქტიური ზემოქმედების საზღვრებში, დასაკითხზე აქტიური ზემოქმედების მიცემაში; იმ განწყობის შეცვლა, რომლის გამოც ბრალდებული უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე.

დასაკითხის ჩვენების დეტალიზაცია და კონკრეტიზაცია ხდება იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს ჭეშმარიტების დადგენის დამოკიდებულება დასაკითხი პირის მიერ დაკავებული პოზიციისაგან.

მტკიცებულების წარდგენა ხდება იმ მიზნით, რომ გამომძიებელმა დასაკითხზე ინფორმაციის მიწოდების გზით მოახდინოს აქტიური ზემოქმედება, იმისათვის, რომ მიიღოს მისგან ახალი, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

---

[41] ზ. ინწკირველი, ბრალდებულის ჩვენების შეფასების პროცესუალურ–ფსიქოლოგიური საფუძველი, თბ., 1998, გვ. 112-113

[42] მტკიცებულებითი მასალის შესაბამისად გადმოცემული ტაქტიკური ხერხების სისტემის შესახებ იხ.: Карнеева Л.М., Соловьев А.Б., Чувилин А.А., Допрос подозреваемого и обвиняемого. М., 1969, с. 42

უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების წარდგენის ეფექტურობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათი წარდგენის პირობები[43]. კონფლიქტურ სიტუაციებში დაკითხვის დროს მტკიცებულებების წარდგენის პირობას წარმოადგენს იმ მოტივების გამოვლენა და აღრიცხვა, რომლებმაც აიძულეს ბრალდებული ცრუ ჩვენების მიცემისათვის. ასეთ მოტივებს შეიძლება მივაკუთვნოთ: დასჯის შიში, დანაშაულის თანამონაწილეების დაფარვის სწრაფვა, მათი მხრიდან შურისძიების შიში, გამოძიების გაჭიანურების სურვილი, რათა გართულდეს დანაშაულის გახსნა, დაკითხვის მწარმოებელი პირის მიმართ პირადი მტრობა.

მნიშვნელოვანია მტკიცებულებების წარდგენის მომენტი. ისინი შეიძლება წარდგენილ იქნეს დასაკითხის მიერ ცრუ განცხადებების გაკეთებისთანავე, მას შემდეგ, რაც დასაკითხმა დაასრულა ჩვენებების მიცემა და დარწმუნებულია, რომ გამოძიების ხელთ არ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც გამოააშკარავებენ მის ტყუილს.

მტკიცებულებების წარდგენის პირობას, როგორც დასაკითხზე ზეგავლენის საშუალება, წარმოადგენს მათი წინასწარი შესწავლა და დადგენა, დაკითხვის დროს აუცილებლად გამოყენების შესაძლებლობა. მტკიცებულების გამოყენება, რომლის უტყუარობაშიც გამომძიებელი არ არის დარწმუნებული, შეიძლება მიიყვანოს იგი ტაქტიკურ შეცდომებამდე, რომელიც შემდგომში გამოიწვევს სასამართლო შეცდომას. სწორედ ამიტომ, როგორც მიუთითებს პროფ. შ. ფაფიაშვილი, „ბრალდებულის დაკითხვის პროცესში და მის დაწყებამდე წინასწარ შესწავლილი და გათვალისწინებული უნდა იქნეს ბრალდებულის ფსიქოლოგიური განწყობა და დაკითხვაზე წარმოდგენამდე მის გარემომცველი გარემოება, შეიძლებოდა თუ არა მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე ზემოქმედების მოხდენა ვისიმე და ამის საფუძველზე მიეღო გადაწყვეტილება ცრუ ჩვენების მიცემის შესახებ“[44].

არსებობს სხვადასხვა ფორმა დასაკითხისათვის მტკიცებულების წარდგენისა. მამტკიცებელი ინფორმაციის გადაცემა დასაკითხისათვის შეიძლება ზეპირად ან წერილობით. გამომძიებელმა, მათი წარდგენისას, უნდა გააკეთოს ბრალდებულის შესაძლო გარეგნული რეაქციის პროგნოზი და მიიღოს ზომები მათი განადგურების

[43] Комарков В.С., Тактика допроса, Харьков, 1975, с. 35-40
[44] შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა), თბ., 2001, გვ. 336

ან გაფუჭების (დაზიანების) თავიდან ასაცილებლად. თუ წარედგინება საბუთი, მაშინ, მიზანშეწონილია მოათავსოს იგი შუშის ქვეშ უსაფრთხო მანძილზე ან ისარგებლოს მისი ასლით.

კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე დაჯგუფდა მტკიცებულების წარდგენის ხერხები: გამოძიებაში გამოყენებული მტკიცებულებების ხასიათის მიხედვით; ერთ დაკითხვაზე მტკიცებულების წარდგენა; ერთი პირისათვის, რიგ დაკითხვებზე ერთი მტკიცებულების წარდგენა.

სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებების ურთიერთკავშირის ხასიათის მიხედვით, სასურველია მოხდეს: ერთეული მტკიცებულებების წარდგენა; ურთიერთდაკავშირებულ მტკიცებულებათა კომპლექსის წარდგენა; მტკიცებულებების მთლიანი სისტემის წარდგენა.

დაკითხვაზე მტკიცებულებების დემონსტრირების ხასიათის მიხედვით შეიძლება მოხდეს: ხელთ არსებული მტკიცებულებების მოხსენიება; არსებული მტკიცებულებების ჩამოთვლა მათი წარმოშობის წყაროების მითითებით; არასრული მტკიცებულებების ჩვენება დასაკითხისათვის; დასაკითხისათვის მტკიცებულების დათვალიერებისა და შესწავლის საშუალების მიცემა.

დამატებითი პირობების ხასიათის მიხედვით, რომელიც აძლიერებს დასაკითხზე წარდგენილი მტკიცებულებების ზემოქმედებას, შეიძლება მოხდეს: მტკიცებულებების მოულოდნელი წარდგენა; გარემოებების წინასწარი გარკვევის შემდეგ, მათთან დაკავშირებული მტკიცებულებების წარდგენა; სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების წარდგენა და მათი მნიშვნელობის ახსნა; მეცნიერულ–ტექნიკური საშუალებების გამოყენება დასაკითხისათვის წარდგენილი მტკიცებულების თავისებურებების ასახსნელად[45].

დაკითხვისათვის მზადებისას, როდესაც დასაკითხს წარედგინება მტკიცებულება ტყუილში გამოაშკარავების მიზნით, გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს, გამოიყენებს თუ არა იგი ყველა არსებულ მტკიცებულებას თუ მათ გარკვეულ ნაწილს, როგორი თანამიმდევრობით, რა ფორმითა და სხვ. მოცემული საკითხების განხილვისას, გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს დასაკითხისათვის წარდგენილი მტკიცებულებების გავლენის სავარაუდო ძალა.

[45] Комарков В.С., Тактика допроса, Харьков, 1975, с. 35-42

მტკიცებულების მეტნაკლებ ძალაზე საუბრისას (ტაქტიკური შეხედულებით) უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოველთვის „ძლიერად“ არ უნდა ჩაითვალოს ის მტკიცებულება, რომელიც ამტკიცებს გამოსაძიებელი მოვლენის მთავარ ფაქტს, ხოლო „სუსტად“ – მხოლოდ მეორეხარისხოვან დეტალებს.

უნდა გავითვალისწინოთ დასაკითხ პირზე მტკიცებულებების სავარაუდო გავლენაც. საქმე მხოლოდ იმაში არაა, თუ რა როლს თამაშოს, მოცემული მტკიცებულება მტკიცებულებათა სისტემაში, არამედ ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს მას დასაკითხი.

წარმოთქმული დებულების გათვალისწინებით, შესაძლოა ტაქტიკური სვლების რეკომენდირება, დაკავშირებული კონფლიქტურ სიტუაციაში დაკითხვისას მტკიცებულებების გამოყენებაზე. მტკიცებულების წარდგენა შეიძლება მას შემდეგ, როგორც კი ბრალდებული დაკითხული იქნება ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც დაკავშირებულია ამ მტკიცებულებასთან. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც გამომძიებელი ვარაუდობს დაკითხვის დროს გამოიყენოს მოულოდნელობის ელემენტი. თუ გამომძიებელს გააჩნია მტკიცებულებათა საკმაო ერთობლიობა, მაშინ მათი წარდგენა შესაძლოა ერთიმეორის შემდგომ. მტკიცებულებების წარდგენა უნდა მოხდეს აღმავალი გზით, როდესაც დასაკითხი პირი მერყეობს თავის პოზიციაზე, და გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით.

სამართლიანად მიმაჩნია ნ. ი. პორუბოვის აზრი იმის თაობაზე, რომ საგამოძიებო პრაქტიკისთვის ცნობილია მტკიცებულებების წარდგენის ორი ძირითადი ხერხი[46].

მიზანშეწონილია წარდგენა დაიწყოს იმ მტკიცებულებებით, რომლებიც ამტკიცებენ მეორეხარისხოვან მომენტებს, ხოლო შემდეგ გადასვლა ისეთ მტკიცებულებებზე, რომლებიც გამოვლენილი გარემოებებიდან მიეკუთვნება მთავარს.

თანმიმდევრული მტკიცებულებების წარდგენა თანდათანობით ასუსტებს დასაკითხის პოზიციას, არწმუნებს მას, რომ ის გამოაშკარავებულია და შემდგომი შეუპოვრობა უარყოფითად აფასებს მის ქცევას გამოძიების დროს, სასამართლოს არ აძლევს საშუალებას გაითვალისწინოს შემამსუბუქებელი გარემოებები.

[46] Прорубов Н.И., Научные основы допроса на предварительном следствии, Минск, 1978, с. 34

სხვა ტაქტიკური ხერხია – არსებული მტკიცებულების ერთობლივად წარდგენა. ეს ხერხი გამოიყენება, როდესაც ასეთი ერთობლიობით საკმარისია ბრალეულობა ჩაითვალოს უდავოდ დამტკიცებულად, ხოლო ბრალდებულის ჩვენებებს უკვე აღარ გააჩნია სერიოზული მნიშვნელობა დანაშაულის გახსნისათვის.

მოულოდნელობის ელემენტის გამოყენება ეხმარება გამომძიებელს ჩააყენოს არაკეთილსინდისიერი პირები მათ მიერ გათვალისწინებულ სიტუაციაში, საშუალებას აძლევს მას შეასუსტოს რთული პოზიცია და მიიღოს ამის შედეგად მართალი ინფორმაცია. მოულოდნელი შეიძლება იყოს, არა მარტო მტკიცებულების წარდგენა, რომელის შესახებაც დასაკითხმა არ იცის, არამედ უეცარი კითხვა, რომელიც ახლავს ცნობილ მტკიცებულებებს. ჩვენს მიერ გამოკითხულმა საგამოძიებო აპარატის მუშაკებმა დაასახელეს აღნიშნული ტაქტიკური ხერხი ტრადიციულად მსგავსი სიტუაციებისათვის. მოვიყვანოთ მაგალითი საგამოძიებო პრაქტიკიდან.

ნ–მ და ბ–მ გაიტაცეს სხვისი ქონება კ–ს ბინიდან. ამასთან ჩაიდინეს ყაჩაღური თავდასხმა კ–ს არასრულწლოვან შვილიშვილზე. შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ოპერმუშაკის მიერ დადგენილ იქნა მოწმე, რომელიც იცნობდა ბ–ს და დაინახა თავის აივნიდან, როგორ გამოვიდა იგი უცნობ მამაკაცთან ერთად სახლის სადარბაზოდან, რომელსაც ხელში ეკავა ორი მძიმე ჩანთა. რამდენიმე დღეში ბ. დაკავებულ იქნა ბაზრობაზე, იმ დროს, როდესაც ყიდდა კ–ს ბინიდან გატაცებულ ნივთებს. დაკავების შემდეგ გამომძიებელმა ჩაატარა მისი და მოწმის დაპირისპირება, რომელმაც ბ. დაინახა უცნობ მამაკაცთან ერთად იმ სახლის სადარბაზოდან გამოსული, სადაც ჩადენილი იქნა დანაშაული. დაკავებულისათვის ეს საგამოძიებო მოქმედება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მან არა მარტო დაადასტურა მოწმის ჩვენება, არამედ მიუთითა დანარჩენი გატაცებული ნივთების შენახვის ადგილი და მისამართი, სადაც ცხოვრობდა დანაშაულის მეორე მონაწილე.

მოულოდნელობის ეფექტზე დაფუძნებულმა ხერხმა, რომელიც გამოიყენება ბრალდებულის დაკითხვისას, შეიძლება გამომძიებელს მისცეს არასასურველი შედეგი. ამ შემთხვევაში დაკითხვა რთულდება, რამდენადაც დასაკითხი, როგორც წესი, ამის შემდეგ „იკეტება“, იკავებს თავდაცვის აქტიურ პოზიციას და ხშირად უარყოფს წაყენებულ მტკიცებულებას, ეყრდნობა რა ცილისწამებას მოწმეებისა და

სხვა მონაწილეების მხრიდან და ა.შ. შესაბამისად, ნაკლებად სარისკოა მითითებული ხერხების გამოყენება საკმარისი მოცულობის მტკიცებულების არსებობისას.

5.3. დაკითხვის ტაქტიკური ხერხი, როდესაც გამომძიებელს გააჩნია მხოლოდ ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც საკმარისი არ არის დანაშაულის ჩადენის გამოსააშკარავებლად

გამომძიებლის პირველადი ამოცანაა დასახელებულ პირობებში მიიღოს დასაკითხისაგან სწორი ჩვენებები, განსაზღვროს, რა არის მათში მართალი და რა – ტყუილი. ამ სიტუაციაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რომლის მიღებაც ხერხდება ბრალდებულისაგან მისი დაკითხვის მსვლელობის დროს.

მოცემულ სიტუაციაში, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შემდეგი ტაქტიკური ხერხები, რომლებიც ხელს უწყობს ინფორმაციის მიღებას, აუცილებელია მტკიცებულების ბაზის შესადგენად: დასაკითხის ინფორმაციის გამოყენება, რომელიც მიუთითებს ლატენტური ინფორმაციის არსებობაზე.

ჩვეულებისამებრ, ადამიანი, რომელიც აკეთებს ცრუ განცხადებას, ცდილობს, მომავალში არ გადაუხვიოს თავის სიტყვებს. მაგრამ მონაყოლის წვრილმანები შეიძლება დავიწყებულ იყოს მის მიერ და ისინი იცვლება სხვა დეტალებით და შეივსება ახალი წვრილმანებით. ამიტომ, დასაკითხს, რომელიც იძლევა ცრუ ჩვენებებს (მთლიანად ან ნაწილობრივ), როგორც წესი, ერთდროულად გააჩნია ერთი მოვლენის ორი, ურთიერთდაკავშირებული ვარიანტი: ერთი ასახავს ნამდვილად მომხდარ მოვლენას, რომლის დაფარვაც მას სურს, მეორე კი – მონაგონზე აგებულს, რომლის მოყოლაც დასაკითხს, პირიქით, განზრახული აქვს.

პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც ბრალდებულები, მოხერხებულად ახდენენ სიმართლისა და სიცრუის კომბინირებას. გამომძიებელი შეცდომაში შეყავდათ დანაშაულის ცალკეულ ელემენტებთან და მთლიან მოვლენებთან მიმართებაში. იმისათვის, რომ გამოვლინდეს წინააღმდეგობები დასაკითხის ჩვენებებში, აუცილებელია გამომძიებელმა ბრალდებული აიძულოს უარყოს მომზადებული მოთხრობის ჩარჩოები.

თუ დაკითხვის დროს ბრალდებული ფიქრობს და იძლევა პასუხებს, რომლებიც ნაცნობია გამოძიებისთვის, ამ შემთხვევაში იყენებენ ფორსირებულ ტემპს. გამომძიებელი მოქმედებს აქტიურად, თავს ახვევს ამ ტემპს ბრალდებულს, იღებს ინიციატივას თავის ხელში, წინ უსწრებს მისი აზრების მსვლელობას, არ აძლევს მას საშუალებას ფიქრისა და არასწორი ჩვენების მიცემის შესაძლებლობას. ვითარების დაძაბვა და ბრალდებულის აღგზნება აიძულებს მას უკან დაიხიოს წინასწარგანზრახული პასუხებისაგან და გამორიცხავს პაუზების შესაძლებლობას, რომლის დროსაც მწიფდება ახალი ცრუ ინფორმაციები. ფორსირებულ ტემპში პასუხის დროს ბრალდებული იძულებულია მოყვეს ის ფაქტი, რომლითაც დაინტერესებულია გამოძიება[47]. თუკი ბრალდებული ირჩევს აჩქარებული დაკითხვის ტემპს იმ მიზნით, რომ გვერდი აუაროს მოვლენის ცალკეულ დეტალს, რომლის თაობაზეც არ სურს ჩვენების მიცემა, გამომძიებელი ცვლის დაკითხვის ტემპს, სთავაზობს დაამატოს ან დააზუსტოს განმარტოს მისთვის საინტერესო დეტალები და გარემოებები.

ამგვარად, დაკითხვის ტემპის შეცვლა (ეს შეიძლება იყოს შენელებული და ფორსირებული ტემპების მონაცვლეობა) – დაკითხვის ეფექტური ხერხია.

გარკვეული თავისებურება ახასიათებს დაკითხვას იმ პირობებში, როდესაც გამომძიებელს აქვს სერიოზული ხარვეზების მქონე მტკიცებულებები, აღნიშნული სიტუაცია ყალიბდება ბრალდებულის დაკითხვისას, რომელსაც წაყენებული აქვს არასრული ბრალდება მის დანაშაულებრივ მოღვაწეობაზე, ამ მომენტისათვის დადგენილ ფაქტებთან მიმართებაში (ეპიზოდების ნაწილზე, ცალკეულ ეპიზოდებზე), მტკიცებულებითი ინფორმაციის ხარვეზების შევსება – ასეთი დაკითხვის ძირითადი ამოცანაა. დაკითხვის დასაწყისში გამომძიებელმა უნდა გამოარკვიოს დანაშაულებრივი საქმიანობის ის გარემოებები და ეპიზოდები, რომლებზეც მას აქვს მამტკიცებელი მასალები, აგრეთვე წარმოიდგინოს მოვლენათა სავარაუდო მსვლელობა, რომელთა თანმიმდევრობითაც უნდა წარედგინოს მტკიცებულებები.

[47] Доспулов Г.Г., Психология допроса на предварительном следствии, М., 1976, с. 81

ამით იქმნება შესაძლებლობა განისაზღვროს დასაკითხის სიმართლე და მის პოზიცია, აგრეთვე მიღებულ იქნეს გარკვეული წარმოდგენა გამომძიებლის გათვითცნობიერებაზე.

გამომძიებელი, დაკითხვის პროცესში, ბრალდებულს შეგნებულად აწვდის ცალკეულ ფაქტებს, მონაცემებს ან ქმნის განსაზღვრულ გარემოს. ამ შთაბეჭდილების ქვეშ ბრალდებულს შეუძლია მივიდეს დასკვნამდე, რომ გამომძიებლისათვის ბევრი რამ არის ცნობილი და იწყებს ჩვენების მიცემას.

არსებობს რამდენიმე ხერხი, რომ დასაკითხს ჩამოუყალიბდეს წარმოდგენა გამომძიებლის გაზვიადებულ გათვითცნობიერებაზე: მომხდარის მეორეხარისხოვანი დეტალების გამორკვევა, ვითომდა მთლიანი სურათის გამოსარკვევად; არსებული მტკიცებულებების თანდათანობით, მიმდევრობით და მნიშვნელოვანი ინტერვალებით წარდგენა, რაც ქმნის წარმოდგენას მათ საკმარის მოცულობაზე; მონაცემების გამოყენება ბრალდებულის წარსულზე, მის პიროვნებაზე და ქცევაზე დაკითხვამდე.

გამომძიებლის გათვითცნობიერებას ამ ფაქტებზე ბრალდებული ხშირად ავრცელებს დანაშაულის ჩადენის გარემოებებზეც.

თუ გამომძიებელს რიგ ეპიზოდებთან დაკავშირებით გააჩნია მტკიცებულებები, მიზანშეწონილია დაკითხულს ეცნობოს ამის თაობაზე თანდათანობით, დაწყებული ყველაზე უმნიშვნელოდან. იმ იმედით, რომ ამით შემოიფარგლება გამომძიებლის გათვითცნობიერება, ბრალდებული ხშირად ჩქარობს აღიაროს ეს ფაქტები. ამასთან, ის ხშირად ურევს გარემოებებს, მიკუთვნებულს სხვადასხვა ეპიზოდებთან, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ დაკითხულთან დაზუსტდეს, ამოწურავს თუ არა მისი ჩვენებები მის დანაშაულებრივ საქმიანობას. იმის მოლოდინში, რომ ამას მოჰყვება ახალი მტკიცებულებების წარდგენა, დაკითხული ხშირად ამჯობინებს ამ სიტუაციაში მოჰყვეს სიმართლე.

წაყენებული ბრალდებებისა და მასზე პასუხისმგებლობის ცოდნით, დაკითხული, როგორც წესი, განიცდის აღქმის, მოყოლის მოთხოვნილებას. ამას განიცდის ის, ვინც მაშინვე ცნობს თავს ბრალეულად და ისწრაფვის „მოიხსნას“ შემაწუხებელი კითხვები იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცეს, რა ელოდება მას ჩადენილი დანაშაულისათვის, როგორ მოექცევიან მას.

ზემოაღნიშნული შეეხება იმ დაკითხულსაც, რომელმაც გადაწყვიტა მცდარი ჩვენების მიცემა. როგორც ა. ნ. ვასილევი და ლ. მ. კარნეევა[48] მიუთითებენ, ამ მომენტამდე ბრალდებული შეიძლება მიიყვანოს მისი აზრების განვითარების ლოგიკამ, გამომდინარე წარსული მოვლენების ნამდვილი მსვლელობებით, მითუმეტეს, თუ ის იძულებულია ანგარიში გაუწიოს ბრალდების ცალკეულ ფაქტს, რომელთა უარყოფაც შეუძლია (უნდა გავითვალისწინოთ, რომ სრული სიცრუე ანუ თავიდან ბოლომდე გამოგონება, იშვიათად გვხვდება. ჩვეულებრივ, მონაყოლში სინამდვილე გადაბმულია გამოგონილთან).

აღქმას შეიძლება მოყვეს ისეთი უფრო მეტად არაძირითადი, მაგრამ არსებითი გარემოებები, რომლებზეც გამომძიებელმა არ იცოდა, რომ ისინი ცნობილი იყო დაკითხულისათვის და ამდენად, შეიძლება არც კი ეკითხა მისთვის ამის შესახებ.

ყველაზე სწორი საშუალება ბრალდებულის სიცრუეში გამოაშკარავებისა არის მისი იძულება გაიმეოროს თავისი მონათხრობი რამდენჯერმე. თუ მისი ჩვენებები ყალბია, ის ადრე თუ გვიან დაუშვებს რაიმე უზუსტობას, გადავა თავდაპირველი ვარიანტიდან. ამასთან, ეს დასაკითხზე ახდენს ფსიქოლოგიურ ზეგავლენას. დასაკითხი პირი იძულებული, გაიმეოროს ტყუილი ჩვენებები, თვითონ დაიწყებს ეჭვის შეტანას თავისი ვერსიის ნამდვილობაში[49].

უნდა დავუმატოთ, რომ მნიშვნელოვანი პირობა დაკითხვის გამეორებისა არის დეტალურობა.

[48] იხ.: Васильев А.Н., Карнеева Л.М., Тактика допроса при расследовании преступлений. М., 1970, с. 129
[49] იხ.: Пикто О., Друг или враг?, М., 1959, с. 69-70

5.4. ემოციური დაძაბულობის მდგომარეობის გამოყენებას დაკითხვის პროცესში აქვს დადებითი მნიშვნელობა

პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული, როგორც წესი, იმყოფება ემოციური დაძაბულობის მდგომარეობაში, რადგან აცნობიერებს თავისი საქციელის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს და პასუხისმგებლობის დადგომას. ეს მდგომარეობა ძლიერდება იმით, რომ მოცემული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის დევნა, პირი დაპატიმრებულია და გამოძახებულია დაკითხვაზე.

ბრალდებულის ემოციური დაძაბულობის მდგომარეობა ეფუძნება შინაგან კონფლიქტს – ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებისა და მისწრაფებების ბრძოლას – ჩადენილი დანაშაულის შეგნების და შიშს პასუხისმგებლობის წინაშე, გამოაშკარავების მოლოდინს, სულ ახალი და ახალი მოტივების ძებნას და იმაზე ფიქრს, რომ დაძაბულობის მოხსნა შეიძლება მონანიებითა და სწორი ჩვენების მიცემით[50].

ადამიანისათვის უფრო დამახასიათებელია სიმართლის თქმა. ამ წესიდან გადახრა საჭიროებს გარკვეულ ნებელობით „ძალდატანებას“. ბრალდებულის ემოციური დაძაბულობის მდგომარეობა აუცილებელია გამოყენებულ იქნეს საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. ამ მდგომარეობის შესანარჩუნებლად დავარწმუნოთ დასაკითხი პირი, რომ მისი ჩვენებები არა მარტო მოისმინება, არამედ აქტიურად მოწმდება და კონტროლირდება გამომძიებლის მიერ.

იმისათვის, რომ დასაკითხი პირი ვაძულოთ გადავიდეს სწორ ჩვენებებზე, გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს ამ გადასვლის თანამიმდევრობით – ყველაზე უმნიშვნელო გარემოებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანზე, თუ დასაკითხი პირი ბრალდებულია რამდენიმე დანაშაულში, მაშინ ფსიქოლოგიურად მისთვის უფრო ადვილია თავდაპირველად აღიაროს ნაკლებად მძიმე ეპიზოდი. თუ ცალკეული ეპიზოდი ერთმანეთისაგან განსხვავდება მტკიცების ხარისხით, მაშინ პირი თავიდან

[50] საერთოდ, ფსიქოლოგიური კონფლიქტის არსებობა (თუნდაც წინააღმდეგობის) იდეალსა და რეალობას შორის, არის ნებისმიერი ადამიანის ცხოვრების გარდაუვალი პირობა, მითუმეტეს სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის სუბიექტებს შორისი (იხ.: Соколова Е.Е., Конфликт между идеалом и реальностью... Вестник Моск. ун-та, сер 14, психология, № 4, 1993, с. 49-55)

უნდა დაიკითხოს ყველაზე მეტად დამტკიცებულ ეპიზოდზე, რომ ამით გამოჩნდეს მის მიერ არჩეული სიცრუე.

ურთიერთობები, რომლებიც აკავშირებს ერთმანეთთან კონკრეტულ პიროვნებებს, გარკვეულწილად მრავალნაირია, ისევე როგორც მათი ურთიერთმოქმედების ხარისხი. მოცემული ტაქტიკური ხერხების საფუძვლად ძევს დასაკითხ პირზე, თანამონაწილეთაგან ვინმეზე ან იმ პირზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რომელთანაც იგი განსაზღვრულ ურთიერთობებშია. მაგრამ ვიდრე ეს ურთიერთობები გამოყენებული იქნება გამომძიებლის მიერ, ისინი უნდა შესწავლილ და გაანალიზებულ იქნენ.

ზემოქმედების მიზნით დაკითხვისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარკვეული პირის ავტორიტეტები (ნათესავი, მეგობარი და ა.შ.), დანაშაულებრივი ჯგუფის მონაწილეთა შორის წინააღმდეგობები და სხვ.

მოვიყვანოთ ტაქტიკური ხერხის მაგალითი, რომლის არსიც მდგომარეობს იმ თანამონაწილეთა ურთიერთობების გამოყენებაში, რომელთაგან ერთმა აღიარა დანაშაულის ჩადენა. გამომძიებელმა იცოდა, რომ თანამონაწილე, რომელმაც მოინანია დანაშაული, უფრო ძლიერ ნებისყოფის იყო. მან მეორე მონაწილეს განუცხადა, რომ გადაწყვიტა მისი დაპირისპირება ამ ავტორიტეტულ პიროვნებასთან. ასეთი გაფრთხილების შედეგად დასაკითხმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მისცეს აღიარებითი ჩვენება, იმ პირთან შეხვედრაზე უარის თქმით, რომელმაც, პირზე დადგომით, შეიძლება ის ამხილოს დანაშაულში.

ასეთი ხერხი გამომძიებლისათვის ეფექტურია, ვინაიდან ბევრ შემთხვევაში წინასწარ უკვე ცნობილია დაპირისპირების შედეგი, ხოლო დასაკითხისაგან მართალი ჩვენება უკვე მიღებულია.

თუ პირისათვის დაპირისპირების განცხადება ვერ მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე, ხოლო ტაქტიკური მოსაზრებებით მისი განხორციელება მიზანშეწონილი არ არის, დასაკითხ პირს გამომძიებელმა უნდა გააცნოს თანამონაწილის დაკითხვის ოქმი, რომელმაც უკვე მისცა მართალი ჩვენება. სწორი ჩვენების მიღების მიზნით, ასევე გამოიყენება ბრალდებულის განმეორებითი დაკითხვა საქმეზე ახალი დადგენილი ფაქტების შესაბამისად, ბრალდებულის შემთხვევის ადგილზე გაყვანა, ჩვენების ადგილზე შემოწმება, საგამოძიებო ექსპერიმენტი. ასეთი ტაქტიკური ხერხების გამოყენებით, ბევრ შემთხვევაში, ბრალდებული რწმუნდება, რომ საქმეზე

უკვე დადგენილია დანაშაულის ყველა გარემოება, რომ იგი მხილებულია დანაშაულის ჩადენაში და ასეთ ვითარებაში აზრი არა აქვს ცრუ ჩვენების მიცემას[51].

გამომძიებლის გათვითცნობიერების შესახებ წარმოდგენის შექმნის მიზნით, ასევე შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული გამომძიებლის მითითებით შეგროვილი სპეციალური ოპერატიული მონაცემები. ცალკეულ სიტუაციებში ამ ჯგუფის ტაქტიკური ხერხი შეიძლება დაეფუძნოს გამომძიებლის ხელთ დაკითხვის დროს ნივთმტკიცებების დუბლიკატების, ანალოგების ან მაკეტების გამოყენებას. დაკითხვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი საგნები, დოკუმენტები, ფოტოსურათები, რომლებიც არიან იურიდიულად გაფორმებული, მაგრამ წინასწარ უნდა მიიპყროს ბრალდებულის ყურადღება, რომელმაც ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული და შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ გამომძიებელს გააჩნია მნიშვნელოვანი, თუ არა გადამწყვეტი სამხილი[52].

ა. ე. მიხალჩუკი თავის ნაშრომში გამოდის ისეთი ტაქტიკური ხერხის წინააღმდეგ, როგორიცაა გამომძიებლის მიერ ხელოვნურად გაკეთებული ან შერჩეული ნივთმტკიცებების წარდგენა. ვფიქრობ, რომ გარკვეულწილად, იგი მართალია, ვინაიდან მსგავსი პრაქტიკა „შეიძლება გახდეს სტიმული მთელი რიგი ნივთიერი მტკიცებულებების შექმნისა, რომლებიც შემოწმებით, უბრალოდ ფალსიფიცირებული აღმოჩნდება“[53].

ტაქტიკური ხერხების აღნიშნული ჯგუფი არ არის ამომწურავი. ის ფართოა და მთლიანობაში გამართლებული. როგორც ი. ბ. ბიხოვსკი სამართლიანად აღნიშნავდა, საგამოძიებო მოქმედებათა ტაქტიკური ხერხები ყოველთვის უნდა გამოიყენებოდეს, მაგრამ იმ პირობით, რომ ამან არც დაამციროს დაკითხულის პატივი და ღირსება, არ დაარღვიოს ურთიერთობის ეთიკა და ა.შ.[54]

---

[51] იხ.: კრიმინალისტიკა, ტომი II, თბ., 1995, გვ. 24-44, 45-56, 57-66; შ. ფაფიაშვილი, კრიმინალისტიკა (დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა), თავები: VIII, IX, X, XII, XIII, თბ., 2001; შ. ფაფიაშვილი, საგამოძიებო ექსპერიმენტისა და ჩვენების ადგილზე შემოწმების ზოგიერთი პროცესუალური და ტაქტიკური საკითხი. ჟ. „საბჭოთა სამართალი“, N6, 1990; ლ. ლაღიძე, ჩვენების ადგილზე შემოწმების ცნება, საფუძველი, მიზანი და ამოცანები. ჟ. „სამართალი“, N3,1999

[52] იხ.: Карнеева Л.М. и др., с. 75

[53] იხ.: Михальчук А.У., Тактические комбинации при производстве следственных действий, Саратов, 1991, с. 104

[54] იხ.: Быховский Н.У., Процессуальные и тактические вопросы системы следственных действий. М., 1975, с. 359

5.5. ჩვენების მიცემაზე უარის სურვილის დასაძლევად გამოყენებული დაკითხვის ტაქტიკური ხერხების გამოყენება

დასაკითხის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის სურვილის დასაძლევად შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ტაქტიკური ხერხები:

ა) დეტალური კითხვების დასმა, დასაკითხის ბიოგრაფიული მონაცემების გამოსარკვევად; მისი ცხოვრების წესზე, კავშირებზე, ხასიათის თავისებურებებზე; ინტერესების წრეზე.

დაკითხვამ ზოგჯერ შეიძლება მიიღოს ოფიციალურობამოკლებული ხასიათი, რისი მიზანიცაა – განისაზღვროს დასაკითხი პირის ძირითადი ფსიქოლოგიური ნიშნები და განისაზღვროს დაკითხვის შემდგომი ტაქტიკა.

ბრალდებულს უნდა მივცეთ საშუალება გამოთქვას ბოლომდე თავისი სათქმელი, არ შევაწყვეტინოთ საუბარი, გამოვკითხოთ ნასამართლეობებზე. თუ ადრე ნასამართლევი იყო, გაირკვეს, სად იხდიდა სასჯელს, სად მუშაობდა და ცხოვრობდა. თავიდან, მიზანშეწონილია საუბარი ისეთ საგნებზე, ისეთი გამონათქვამების გამოყენებაზე, რომელიც გამოიწვეს მასში სურვილს ჩაერიოს საუბარში.

ბ) დასაკითხი პირის დადებითი თვისებების გამოყენება. ამ ტაქტიკური ხერხის გამოყენება უმჯობესია წესიერ და პატიოსან პირებთან. ამ შემთხვევაში ადამიანი, შეიძლება შეეცადოს გაამართლოს თავისი „რეპუტაცია“, რამდენადაც ადამიანების სიღრმისეულ თვისებას წარმოადგენს მიდრეკილება, ღირსების შესაბამისად იყოს შეფასებული.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამომძიებელმა ბრალდებულშიც კი უნდა დაინახოს დადებითი თვისებები, ღირსებები, ხოლო ბრალდებულისადმი ასეთი დამოკიდებულება დაეხმარება გამომძიებელსაც. ჩვენს მიერ გამოკითხული გამომძიებლების უმრავლესობა, როგორც წესი, გამოძიებისას იყენებს მოცემულ ტაქტიკურ ხერხს.

გ) იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომელთა უტყუარობაც ეჭვს არ იწვეს მოცემული ტაქტიკური ხერხი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარებ უფრო დეტალურად უნდა იქნას განხილული ცრუ ჩვენებების მიმცემი პირების დაკითხვისას, რადგან, თავისი არსით, ეს არის ერთადერთი ხერხი მხილებისა.

როდესაც ბრალდებული უარს აცხადებს გამომძიებელთან ყოველგვარ საუბარზე და ამავე დროს იმყოფება აპათიის, გულგრილობის მდგომარეობაში, მიაჩნია, რომ „მისთვის ახლა ყველაფერი სულ ერთია“, მიზანშეწონილია ემოციური „შენჯღრევის“ ხერხის გამოყენება: მისი გრძნობებისადმი (სიამაყე, სირცხვილი, მონანიება, სინანული) მიმართვა, ვაიძულოთ, უარი თქვას პასიურ ქმედებებზე და დაიწყოს საუბარი გამომძიებელთან.

ზოგჯერ დასაკითხი პირი უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე, ამით გამოხატავს რა სრულიად თავისებურ პროტესტს მისი პასუხისმგებლობაში დაუსაბუთებელი მიცემის წინააღმდეგ.

თუ ბრალდებულს მოთმინებით ავუხსნით მის მდგომარეობას და უფლებებს, ასეთი პირების უმრავლესობა, ჩვენებების მიცემისას მიდის გამომძიებელთან კონტაქტზე.

ნებისმიერ შემთხვევაში გამომძიებელმა უნდა აუხსნას დასაკითხს გულწრფელი მონანიების მნიშვნელობა. აუცილებლად უნდა მიეთითოს, რომ ეს წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას, ზოგიერთ შემთხვევაში კი გაითვალისწინება სისხლისსამართლებრივი საქმის შეწყვეტა საკითხის გადაწყვეტისას. ბრალდებულზე დადებით ზეგავლენას ახდენს გამომძიებლის მიერ მისი დარწმუნების მონაწილეობის აუცილებლობაზე, თავისი ბრალის შეგნება, როგორც პირველი ნაბიჯი გამოსწორებისაკენ. თუმცა ეს ხერხი საკმაოდ ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა განმარტებები არ გადავიდეს დასაკითხ პირზე ზეწოლაში, რომელიც მიგვიყვანს თვითდაბრალებამდე.

მოცემული ტაქტიკური ხერხით გამომძიებელი დასაკითხ პირს უქმნის მისწრაფებას, აწარმოოს ლოგიკური მსჯელობები. თავიდან იგი ამახვილებს ყურადღებას ფაქტზე, რომელსაც დასაკითხი პირი ადვილად უკუაგდებს. ბრალდებულს არ შეუძლია დასძლიოს სურვილი უკუაგდოს გამომძიებლის დასკვნები, ამდენად, ჩაერთვება კამათში. მაგრამ ამ დროს, გამომძიებელი, უკვე წამოსწევს უფრო სერიოზულ გარემოებებს, რომლებიც უზრუნველყოფილია მტკიცებულებებით. ბრალდებული, იძულებულია მოიტანოს სხვა არგუმენტები ანდა, გამოსავლის არქონის გამო, აღიაროს გამომძიებლის დასკვნების სიმართლე. ასე მიიღწევა გამომძიებლის კავშირი დასაკითხთან, რომელიც შემდგომში მან უნდა განავითაროს.

დაკითხვის ტაქტიკური ხერხების დაყოფა კონფლიქტურ სიტუაციაში, გამომდინარე საქმეზე, მტკიცებითი მასალების რაოდენობიდან, ეხმარება გამომძიებელს სწორ ორიენტაციაში და დაკითხვის მიზნების მიღწევაში.

ამგვარად, შევეცადე განმეხილა ყველაზე მეტად გავრცელებული საგამოძიებო ტაქტიკური ხერხები და მათი რეალიზაციის გზები. მაგრამ სამართლიანია ზოგიერთი კრიმინალისტის მოსაზრება, რომ გამოძიების ტაქტიკური ხერხების რაოდენობა არ რჩება უცვლელი, ისინი საკმაოდ მრავალგვარია და მათი ვარიაციები უსაზღვროა.

დასკვნა

ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოს მრავალწლიანი არსებობის მანძილზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა წარმოადგენდა იმ საკანონმდებლო ბაზას, რომლის დახმარებითაც საბჭოთა სახელმწიფო მანქანამ შეძლო მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების განხორციელება და 70-80-იან წლებში დისიდენტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა.

1960 წლის 30 დეკემბერს მიღებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში სისხლისსამართალწარმოების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მართალია მითითებული იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის აუცილებლობა, მაგრამ კანონის ეს მოთხოვნა აშკარად დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა, ვინაიდან იმ დროისათვის არსებული დაკითხვის ტაქტიკურ-ფსიქოლოგიური ხერხები, რომლებიც შემუშავებულია ჯერ კიდევ საბჭოური მმართველობისას - 30-40-იან წლებში, ხოლო გადამუშავებული 1960-70 წლების პერიოდში, ვერ აკმაყოფილებდა ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნებს: გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის 1948 წლის დეკემბრის რეზოლუციას - „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ და, ასევე, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“, მიღებულს რომში, 1950 წლის 4 ნოემბერს. ამ დეკლარაციებში ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ადამიანის თავისუფლების - ხელშეუხებლობასა და დაკავებულთა დაპატიმრებულთან მოპყრობის პირობებზე.

მიღებულმა საერთაშორისოსამართლებრივმა ნორმატიულმა აქტებმა გაითვალისწინა ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვა, რომლის შესრულებაც ბუნებრივად შეუძლებელი იყო, იმ დროს არსებული პრაქტიკის პირობებში. იყო ფაქტები პირობნებებზე ზეწოლისა, რასაც გარკვეულწილად ხელს უწყობდა სხვადასხვა სტრუქტურებში არსებული დაუსჯელობის სინდრომი. აღნიშნული მიზეზი უნდა ვეძებოთ საქმისადმი ფორმალურ დამოკიდებულებაში. სამართალდამცავი სტრუქტურები იყვნენ დაინტერესებული დანაშაულის გახსნის პროცენტული მაჩვენებლების გაზრდით, რაც იწვევდა დასაკითხი პირისადმი არაადეკვატური მოპყრობის ფაქტებს. კერძოდ მათ დაკითხვას ეთმობოდა

არასაკმარისი დრო, რაც გამოიხატებოდა მხოლოდ მონაყოლის ოქმში აღნუსხვით და არა რეალურად მიცემული ჩვენების შესწავლით.

ამრიგად, საბჭოთა სინამდვილეში სისხლისსამართალწარმოება მიმართული იყო არა იმდენად საგამოძიებო და ოპერატიული სამსახურების მუშაკების მხრიდან გამოვლენილი თვითნებობისაგან პიროვნების დასაცავად, არამედ ნებისმიერი ხერხების გამოყენებით დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩვენს ქვეყანაში სამართლებრივ სახელმწიფოს აღმშენებლობის იდეასთან ერთად გაიზარდა მოთხოვნილება პიროვნების დაკითხვისას მთი უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულმა რეფორმებმა გამოიწვია პროფესიონალური კადრების დენადობა სამართალდამცავი ორგანოებიდან, რამაც გარკვეულწილად იმოქმედა საგამოძიებო მოქმედებების წარმოებაზეც. კერძოდ, გამოჩნდნენ ახალგაზრდა იურისტები, რომლებსაც არა აქვთ არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება ისეთი საგამოძიებო მოქმედების წარმოებაში, როგორიც არის დაკითხვა, გარდა არსებული ძველი საბჭოური ლიტერატურისა არ არსებობს შესაბამისი თანამედროვე ლიტერატურა ქართულ ენაზე, რომელიც ახსნის და განმარტავს დაკითხვის წარმოების ტაქტიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს.

პრინციპულად ახალი ტიპის საზოგადოებრივ მოწყობაზე გადასვლა, სისხლის სამართლის სამართალწარმოების ძირფესვიან ცვლილებასთან ერთად ითვალისწინებს გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების მოდერნიზაციას, რომელთა რიგს ეკუთვნის დაკითხვაც.დაკითხვა კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმაა, რომელზედაც განსხვავებული წარმოდგენები აქვთ პროფესიონალ გამომძიებლებს, ოპერატიული სამსახურის თანამშრომლებსა და იურისტებს. ის ჩამოყალიბდა მავნე პრაქტიკის პირობებში და ხშირ შემთხვევაში გავლენას ახდენს თანამედროვე გამომძიებლის პროფესიულ აზროვნებაზე.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან შევეცადეთ გაგვეკეთებინა სისტემატიზირება ფსიქოლოგიური მიდგომებისა და ხერხისა. აგრეთვე შევეცადეთ შეგვემუშავებინა პრაქტიკული უნარჩვევები, რაც აუცილებელია გამოძიების დონის ამაღლებისათვის. აგრეთვე შევეცადეთ შეგვემუშავებინა გარკვეული დიფერენცირებული მეთოდიკა, რომელიც ეფუძნება კრიმინალისტიკის თანამედროვე გამოცდილებას. ამდენად

ვფიქრობთ ჩვენი სამაგისტრო კვლევა სწორედ დატვირთულია აქტუალურობით და ეხება ისეთ პრობლემატურ საკითხებს, რომელსაც დაკითვის პროცედურა ქვია და შევეცადეთ გაგვეანალიზებინა მისი თანმიმდევრული საფეხურები, აღქმა რეპროდუქცია, გადმოცემა და სხვა.

ამიტომ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სისტემაში მოგვეყვანა დაკითხვისას გამოყენებული ტაქტიკური ხერხები და შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რაც საშუალებას მიცემს დაკითხვის უფლებით აღჭურვილ პირებს უმოკლეს დროში პრაქტიკულად გაერკვნენ ჩვენების ფორმირების საფეხურებში, რათა მოახერხონ ჩვენების ანალიზი უშუალოდ დაკითხვის პერიოდში. ჩვენების ფორმირების სამი საფეხურიდან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ ჩვენების გადმოცემის ვერბალურ და არავერბალურ საკითხებს, რაც ჩვენი აზრით, არის მთავარი კომპონენტი, რათა გაანალიზებულ იქნეს გადმოცემული ფაქტები უშუალოდ დაკითხვის პერიოდში, კომუნიკაციის მეშვეობით.

აქედან გამომდინარე, ნეირო-ლინგვისტური პროგრამირების საკითხების გამოყენებით, ნაშრომში ჩამოვაყალიბეთ დასაკითხის მიერ ჩვენების მიცემისას ინფორმაციის გადაცემის დომინირებული ფორმების დადგენისათვის საჭირო მეთოდები. შევიმუშავეთ და სისტემაში მოვიყვანეთ ჩვენების მიღებისას თითოეული დომინირებული ფორმის შესაბამისი დაკითხვის ტაქტიკური ხერხი.

შესწავლილია მოწმისაგან ან დაზარალებულისაგან სრული და დაზუსტებული ინფორმაციის მიღებისათვის შემეცნებითი დაკითხვის ანუ ე. წ. „კოგნიტური ინტერვიუს“ გამოყენების საკითხები, რაც ითვალისწინებს მოვლენების კონტექსტში აღდგენის, სხვა და სხვა თანმიმდევრობით აღქმის სამომავლო ხედვის და თავისებური ხერხების გამოყენებას.

პრაქტიკაში ხშირად სათანადოდ არ არის განსაზღვრული დაზარალებულის როლი, რამაც არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს გამოძიების ეფექტურობაზე, ამიტომ შევისწავლეთ ისეთი აქტუალური პრობლემა, როგორიცაა კონფლიქტური და არაკონფლიქტური დაზარალებულების დაკითხვა. შევიმუშავეთ რეკომენდაციები ამ ტიპის დაზარალებულების დასადგენად, შესაბამისი დაკითხვის ტაქტიკური ხერხის გამოყენებისათვის. პრაქტიკულად შევისწავლეთ „ვიქტიმურობის ფენომენი“, როგორც პიროვნების განვრცობადი შესაძლებლობა, მისი ყოფითი ფაქტორებიდან ან სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე აღმოჩნდნენ ამათუიმ

მართლსაწინააღმდეგო ქმედების მსხვერპლად. დაკითხვისას, ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს რეალური აღიარების მიღება ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს ადამიანის უფლებების დარღვევას, მის დამცირებას და ღირსების შელახვას. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვესწავლა პრაქტიკაში გავრცელებული სხვადასხვა ტაქტიკური ხერხები, რომელიც გამოიყენება ცალკეული გამომძიებლების მიერ ინტუიციის და გამოცდილების საფუძველზე, რის საფუძველზეც ჩვენს მიერ, საქართველოში პირველად შემუშავებულია და პრაქტიკაშია დანერგილი ე. წ. RPM-ს (rationalization, projection, minimizacition) მეთოდი, რასაც „გაჯანსაღების“ მექანიზმი ვუწოდეთ. იგი წარმოადგენს ბრალდებულის პიროვნებათა დაკითხვისას მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა შემცირების ერთ ერთ საუკეთესო ტაქტიკურ მეთოდს. აღნიშნულ ტაქტიკურ მეთოდს ზოგიერთი გამოცდილი გამომძიებელი იყენებს ქვეცნობიერად პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე და მის ათვისებას ჭირდებოდა გარკვეული პერიოდის პრაქტიკა, რათა გარკვეულიყვნენ „გადაბრალების“ მექანიზმის დადებით და უარყოფით მხარეებში.

გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ მიერ საქართვლოში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, არასრულწლოვანთა 70-80%, აქედან 22% მუდმივად განიცდიან სხვადასხვა ფორმის ძალადობას, დაწყებული მსუბუქი ფორმიდან დასრულებული მძიმე ფორმებით. რაც, თავისთავად, არასრულწლოვნებში მეტყველების, ქცევის დარღვევის და ფსიქოზურ გამოვლინებებს იწვეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალადობის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანები საკუთარი მიზნების მიღწევას და პრობლემების გადაჭრას ასევე ძალადობით ცდილობენ. დღეისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშულების გამოძიების საკითხი, სადაც უმეტეს წილად დასაკითხ პირებად გვევლინებიან არასრულწლოვნები, რომლებიც თავის დროზე თავად გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი.

ამრიგად, ჩვენს მიერ შემუშავებული დაკითხვის ტაქტიკური ხერხები სრულად ავსებენ კრიმინალისტიკური ტაქტიკის და ცალკეულ დანაშულთა გამოძიების მეთოდიკის პრობლემებს, რაც საშუალებას იძლევა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა

1. ბოხაშვილი ი., გამოძიებისას დაკითხვის დროებითი წესის საკითხისათვის. ჟურნ. „ადვოკატი“, №3, 2013
2. გოგშელიძე რ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის სრულყოფის საკითხებისათვის. „მართლმსაჯულება და კანონი“, №5, 2006
3. გოგიჩაიშვილი თ., იურიდიული ფსიქოლოგია, თბ., 1997
4. გრიგალაშვილი რ., დანაშაულის პიროვნების ზოგადი ფსიქოლოგიური დახასიათება, ჟ. „სამართალი“, N5-6, 1997
5. გუცენკო კ.ფ., გოლოვკო ლ.ვ., ფილიმონოვი ბ.ა., დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007
6. თრენკელი ე., მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია, თბ., 2009
7. თუმანიშვილი გ., დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი, №2, 2009
8. ინწკირველი ზ., ბრალდებულის ჩვენების შეფასების პროცესუალურ–ფსიქოლოგიური საფუძვლები. თბ., 1998
9. ინწკირველი ზ., ბრალდებულის ჩვენების შეფასების პროცესუალური მნიშვნელობა. ჟ. „სამართალი“, N5-6, 1998
10. ინწკირველი ზ., ბრალდების ცრუ აღიარების მიზეზები და მათი გამოვლენის მექანიზმი ფსიქოლოგიური და პროცესუალური ხერხით და საშუალებით, ჟ. „სამართალი“, 2000, N3
11. ლაღიძე ლ., ჩვენების ადგილზე შემოწმების ცნება, საფუძველი, მიზანი და ამოცანები. ჟ. „სამართალი“, N3,1999
12. მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები. თბ., 2007
13. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქტორობით. თბ., 2013

14. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, „ფსიქოლოგია“, ტ. VI, 1949
15. ფალიაშვილი ა., სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2002
16. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, ტომი II, თბ., 1995
17. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა), თბ., 2001
18. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა, 2003
19. ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (დანაშაულთა გახსნის ტაქტიკა), თბ., 2001
20. შინდელაშვილი ვ., ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვის მომზადება, ჟ. „სამართალი“, N4, 2001
21. ჩომახიშვილი ქ., თომაშვილი თ., ძებნიაური გ., ოსეფაშვილი ს., პატარიძე მ.. მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში. თბ., 2016
22. ჩხეიძე ი., მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. გამომც., „მერიდინი“, თბ., 2010
23. ხარაზიშვილი ბ., მტკიცებითი სამართალი, თბ., 1982
24. ხარაზიშვილი ბ., კრიმინალისტიკა, ტომი II, თბ., 1995
25. ხარაზიშვილი ბ., სიცრუის ფსიქოლოგია, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975
26. ჯოჯუა ნ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართალწარმოებაში - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი, სასემინარო ნაშრომი. თსუ, 2013
27. ჯოჯუა ნ., დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართალწარმოებაში - საქართველოს მოქმედი კანონმდებლოის ანალიზი, სასემინარო ნაშრომი. თსუ, 2013

ნორმატიული მასალა და ინტერნეტ–რესურსი

28. ხელმისაწვდომია: http://libraty.count.ge/uploads/merged_document_2.pdf
სახელმძღვანელო იურისტებისათვის სასამართლო ექსპერტიზის, ექსპერტი მოწმის დაკითხვისა და მტკიცებულებათა წარდგენის შესახე. გამომც.: „მერიდიანი“, თბ., 2012, გვ. 55
http://bga.ge/uploads/files/jurnali_pther/Forensics_Vanual-2012_Georgian.pdf

29. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები. თბ., 2015 http://libraty.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2016/04/ssssk-komentari.pdf
30. თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებ-გვერდი, 2013 წლის 15 თებერვლის განცხადება - http://tcc.gov.ge/indez,php?m+4438&newsid=506%3E
31. სისხლის სამართალის პროცესი, ზოგადი ნაწილი. ავტორთა კოლექტივი, თბ., 2009, გვ. 284
32. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2019
33. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. http://matsne.gov.ge/ka/document/view/9034

უცხოენოვანი ლიტერატურა

34. Артемьев В.А.. Тон и интонация, М., 1961
35. Баев О.Л.. Основы криминалистики. М., 2016
36. Быховский Н.У., Процессуальные и тактические вопросы системы следственных действий. М., 1975
37. Васильев А.Н., Карнеева Л.М., Тактика допроса при расследовании преступлений. М., 1970
38. Володина А.Н., Психологические методы получения информации при осуществлении допроса// Актуальные проблемы юриспруденции. Тюмень, 2004
39. Доспулов Г.Г., Психология допроса на предварительном следствии, М., 1976
40. Еминов В.Е., Гаврилова Н.И., Сараль Т.В., Экспериментальное исследование некоторых факторов, влияющих на достоверность свидетельских показаний. Вопросы борьбы с преступностью. М., 1974
41. Карнеева Л.М., Соловьев А.Б., Чувилин А.А., Допрос подозреваемого и обвиняемого. М., 1969
42. Карнеева М.Л., Теория доказательств в советском уголовном процессе, М., 1973
43. Комарков В.С., Тактика допроса, Харьков, 1975
44. Михайлов А.И., Подголин У.У., Письменная речь при производстве следственных действий. М., 1980
45. Михальчук А.У., Тактические комбинации при производстве следственных действий, Саратов, 1991
46. Прорубов Н.И., Научные основы допроса на предварительном следствии, Минск, 1978
47. Пикто О., Друг или враг?, М., 1959

48. Соколова Е.Е., Конфликт между идеалом и реальностью... Вестник Моск. ун-та, сер 14, психология, № 4, 1993
49. Якуб М.Л., Показания свидетелей и потерпевшихю М., 2017
50. Шейфер С.А., Следственные действия: Система и процессуальная форма. М., 1981; Теория доказательств в советском уголовном процессе, М., 1973
51. Ратинов А.Р., Гаврилова Н.И., Логико-психологическая структура лжи и ошибки в свидетельских показаниях. Вопросы борьбы с преступностью, М., 1982
52. Рубинштейн С. Л, Основы общей психологии. М.-Л., 1947
53. Ronald P. Fisher, R. Edward Geiselman, The Cognitive Interview method of conducting police Interviews, Eliciting extensive information and promoting therapeutic Jurisprudence, International Journal of Law ans psychiatry, 2010
54. Madekine Colvin, Jonafhan Fooper, Human Rights in the Investigation and Prosecution of crime, Ozford, 2009
55. Vivian B.Lord, Allen D.Cowan, Interviewing in Criminal Justice, wictims, witnesses, clients and suspects, Canada, 2011
56. Allen J. Vichael, LLB, LLM, BARISTER, “Ceiminal Law”, Fifth Edition, London: Bleckstone, Press Limited, 1999